საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 2 ივლისი. 2016 წ. №122 (8014), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ეუთო თბილისში მუშაობს...

საქართველო საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების ეპიცენტრშია

გუშინ თბილისში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 25-ე სესია გაიხსნა, რომელშიც 57 წევრი ქვეყნის 600-ზე მეტმა სტუმარმა მიიღო მონაწილეობა. სესიაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი.

ეუთოს 25 ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლის დროს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ თანამედროვე ეპოქამ მოიტანა ეუთოს შემდგომი ტრანსფორმაციის აუცილებლობა. ამის მაგალითად 2008 წლის აგვისტოს ომი მოიყვანა:

„დრო, დავფიქრდეთ, თანამედროვე ეპოქამ ხომ არ მოიტანა ეუთოს შემდგომი ტრანსფორმაციის აუცილებლობაც, რათა იგი უფრო ეფექტურად გაუმკლავდეს უსაფრთხოების და თანამშრომლობის მზარდ დეფიციტს. ამ მოსაზრებისკენ გვიბიძგებს, მაგალითად, საქართველოს შემთხვევა. ეუთომ არათუ ვერ შეძლო 2008 წლის აგვისტოში რუსეთის სამხედრო აგრესიის პრევენცია და მისი შეჩერება, არამედ თავადაც კი აღმოჩნდა განდევნილი საქართველოს ტერიტორიიდან. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან ქართველების ეთნიკურ წმენდას თბილისიდან ეუთოს მისიის წმენდაც მოყვა. ეს დასაფიქრებელი შემთხვევაა, რადგან ვიფიქროთ, ორგანიზაციის მისიის შესასრულებლად აუცილებელ ტრანსფორმაციაზე. მოხარული ვიქნებით, თუ საქართველოს ეს გამოცდილება, ეს შემთხვევა იქნება მაგალითი იმისა, რომ საჭირო წინსვლა და სხვა სტანდარტების დამკვიდრება“.

მისივე თქმით, სასიხარულოა, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში ეუთო-მ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს აღარ მიანიჭა სამშვიდობო ძალების სტატუსი, როგორც ეს, სამწუხაროდ, საქართველოში წლების განმავლობაში ხდებოდა აფხაზეთის და ცხინვალის მიმართულებით.

* * *

გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ საქართველო მის წინაშე არსებული სირთულეების მოგვარებას სამხედრო გზით არ შეეცდება.

იხ. 2 გვ.

ნება მიბოძეთ, წავახალისო საქართველო – 100 მილიონი ევრო ყოველწლიურად!

ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისარი იოჰანეს ჰანი ასოცირების შეთანხმების სრულად ამოქმედების შესახებ განცხადებას ავრცელებს, რომელშიც საუბარია იმ სარგებელზე, რომელიც საქართველომ ასოცირების შეთანხმებისგან მიიღო.

„ასოცირების შეთანხმების შედეგად, საქართველოს მოქალაქეები სულ უფრო ხშირად შეძლებენ სარგებლის მიღებას ევროკავშირთან უფრო მჭიდრო კავშირებისგან. საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის უკეთესი ბიზნესშესაძლებლობები, სოფლის მეურნეობის ადგილობრივი პროდუქტების გაუმჯობესებული უსაფრთხოება და ენერგოეფექტიანობის გაზრდა – ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ სფეროებისა, სადაც ჩვენ შეთანხმების დროებითი გამოყენების შედეგად უკვე დავინახეთ იმედისმომცემი ნიშნები, რაც ახლა შეიძლება კიდევ უფრო განვითარდეს. ნება მიბოძეთ, წავახალისო საქართველო, რათა სრულად გამოიყენოს არსებითი დახმარება – დაახლოებით 100 მილიონი ევრო ყოველწლიურად – რომელსაც ევროკავშირი გამოყოფს ქვეყნის რეფორმების დღის წესრიგის მხარდასაჭერად“, – ნათქვამია იოჰანეს ჰანის განცხადებაში, რომელიც ევროკომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ჯალათი ნაციონალებისგან წამებული

სულხან მოლაშვილის ბოლო ინტერვიუდან:

საზოგადოებას კარგად მოეხსენება რამხელა საშიშროება იყო „ნაციონალური მოძრაობა“ ქვეყნისთვის. „ნაციონალური მოძრაობა“ – ეს იყო სახადი, ავანტიურისტების, კრიმინალების თავშეყრა, რომელიც განხორციელდა პროდასავლური ნიღბის ქვეშ და რომელსაც ამოძრავებდა ერთადერთი მიზანი – ქართველი საზოგადოების ძალისმიერი დამორჩილება. ეს ყველაფერი ვრცელდებოდა სასამართლო სისტემიდან დაწყებული, არასამთავრობო სექტორით დამთავრებული. ეს ეხებოდა იმ არასამთავრობო სექტორსაც, რომელიც ახლა გააქტიურდა, წლების მანძილზე კი საერთოდ არ ჩანდნენ და მათი კნავილიც არ ისმოდა. ნუთუ არაფერი ჰქონდათ მაშინ სათქმელი და გასაპროტესტებელი, როცა ადამიანებს ქუჩაში ხვრეტდნენ?

ნაძირალა ბოკერია ციხეში უნდა იჯდეს!

2008 **წელს** მოკლული გიორგი გამცემლიძის მამა ჯამბულ გამცემლიძე სულხან მოლაშვილის გარდაცვალების შესახებ წერს:

– „ბოკერია ესწრებოდა ჩემი წამების ფაქტს“... – წერდა სულხან მოლაშვილი, მეტი რაა საჭირო, რომ ეს ნაძირალა ციხეში იჯდეს?

ასე ერთობოდნენ საკუთარი მოქალაქეების „სიმწრით“... ახლა თუ კიდევ ვინმემ ისა თქვა, ნაცმოძრაობას ვაძლევო ხმას, მე ჩემს საქციელზე ვიხსნი პასუხისმგებლობას! მითხარით, რა უნდა დააშავოს ადამიანმა ან რომელიმე დაჯგუფებამ იმაზე მეტი, რაც ნაცხროვამ დააშავა? არსებობს დანაშაული, რაც მაგ არაკაცებმა არ ჩაიდინეს?

ჰოდა, კეთილი ინებოს ახლა პროკურატურამ და ჩაყაროს ციხეში ეს დამნაშვეთა ბანდა! – წერს გამცემლიძე.

რეპორტიორი

ვიგინდარა საკაშვილის მორიგი ბოდიალი!..



კოალიცია „ჩვენი უფლებებისთვის“ თავმჯდომარე დავით ლილუაშვილი მიხეილ საკაშვილის ინიციატივას იმის შესახებ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობა დიდგორის ველზე გაიმართოს, ასე ეხმაურება:

– დავით აღმაშენებლის სული დაგრჩა შესაწუხებელი და იმასაც მიადექი, ხომ?! რა დიდგორი, რას ბოდიალობ, შე ვიგინდარა?!

არჩევნებს მოიგებს ხალხი, „ნაცმოძრაობა“ საბოლოოდ ჩაირეცხება, შენ კი ციხეში მიბრძანდები, ან სამკურნალოდ გაგამწესებენ, თან ხანგრძლივი დროის განმავლობაში! – წერს ლილუაშვილი.

რეპორტიორი

სულხან მოლაშვილს პარიზიდან თბილისში დღეს, 2 ივლისს ჩამოასვენებენ

როგორც ცნობილი გახდა, ნაციონალთაგან წამების შედეგად პარიზის ერთ-ერთ კლინიკაში გარდაცვლილი 47 წლის სულხან მოლაშვილს თბილისში 2 ივლისს, გვიან საღამოს ჩამოასვენებენ – ღამის 23:30 საათზე.

დახვედრა შესაძლებელია ძველი აეროპორტის „ლასფარეს“ ტერიტორიაზე.

საქართველო საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების ეპიცენტრშია

(პირველი გვერდიდან)

პრეზიდენტმა ყველა მხარეს სიტუაციის დარეგულირების პროცესში ჩართვისაკენ მოუწოდა.

„მნიშვნელოვანია, რომ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 25-ე სესია თბილისში, საქართველოში ტარდება, ქვეყანაში, რომელმაც 25 წლის წინათ გააკეთა უმნიშვნელოვანესი ისტორიული არჩევანი და მტკიცედ, მთელი მსოფლიოს გასაგონად გააჟღერა ქართველი ერის ნება — ააშენოს თანამედროვე, დემოკრატიული, ადამიანის უფლებებზე დამყარებული ევროპული ტიპის სახელმწიფო.

ამ მხრივ საქართველო ეუთოს პროცესის აქტიური მონაწილეა და ჩვენ აქტიურად გვჯერა, რომ ნებისმიერი ტიპის პრობლემები და დაძაბულობა შესაძლებელია მოიხსნას ინტენსიური დიალოგით. იმ საჭიროებებზე და ღირებულებებზე მსჯელობით, რომელიც დაპირისპირებულ მხარეებს გააჩნიათ.

მე მოვუწოდებ ყველა მხარეს, რომ ასევე მტკიცედ ჩაერთოს მოლაპარაკებების და სიტუაციის დარეგულირების პროცესში.

უსაფრთხოება დღეს ჩემი ქვეყნის და რეგიონის მთავარი საზრუნავია.

სამწუხაროდ, დღეს ევროპაში და მათ შორის საქართველოში არ არის ბოლომდე დაცული ის პრინციპები, ის სულისკვეთება, რომელიც ჩვენ ყველას, ეუთოს წევრებს გაგვაერთიანებს.

ჩვენ ეუთოსთან ვთანამშრომლობთ არამარტო უსაფრთხოების კონტექსტში. ჩვენი ქვეყანა ევროპული და აზიური რეგიონის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია თანამშრომლობის შესაძლებლობების გახსნის მიმართულებითაც“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სესიის გახსნაზე.

* * *

საქართველოში ჩვენ გვწამს ჩვენი ევროპული მომავლის, — ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სტუმრებს სამუშაო სადილზე, რომელიც ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 25-ე სესიის ფარგლებში გაიმართა.

„გასული წლების მანძილზე მიღწეული ყველა წარმატების მიუხედავად, მივიჩნევთ, რომ საბოლოო მიზნისთვის ჯერ არ მიგვიღწევია, ჩვენ არ მივცემივართ თვითკმაყოფილებას და მიგვაჩნია, რომ წინ კიდევ დიდი გზა გველის — მუდმივი ცვლილებების, აღმასვლისა და ვარდნის, რეფორმების, წარმატებებისა და მარცხის გზა. ჩვენ გამოვიარეთ სამოქალაქო ომი, ოკუპაცია, თუმცა ვამაყობთ იმიტომ, რომ ვართ დამოუკიდებლები, შეგვიძლია საკუთარი ბედის განსაზღვრა და სტაბილურად განვაგრძობთ წინსვლას ჩვენი ევროპული და ევროატლანტიკური სულისკვეთების რეალიზების მიზნით.

გასული სამი წლის მანძილზე, საქართველომ ევროკავშირთან ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმებას მოაწერა ხელი. ჩვენი ურთიერთობა ევროკავშირთან განაგრძობს განვითარებას და მოუთმენლად ველით უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას — ევროკავშირთან საბიზო რეჟიმის ლიბერალიზაციას. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ ევროკავშირის მიერ წაყენებული ყველა მოთხოვნა დავაკმაყოფილეთ. ამავდროულად, მნიშვნელოვნად გავზარდეთ სავაჭრო შეთანხმების ქსელი მეზობელ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყნებთან. ჩვენ განახლებული აბრეშუმის გზის ერთგვარი ცენტრიც კი გავხდით — უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გასულ ათასწლეულშიც სწორედ ამ ფუნქციას ვასრულებდით.

საერთაშორისო შეფასებების კუთხით, ჩვენი სტაბილური განვითარება მართლაც ღირსშესანიშნავია. ალბათ, შეგიძლიათ თქვათ, რომ ძალიან ვამაყობ ჩემი ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესით. ეს ასევე ეხება ეკონომიკური განვითარების ასპექტსაც, არსებული ეკონომიკური ტურბულენტობისა და არასტაბილურობის პირობებში საქართველო ზრდის, თანაგანვითარებისა და სოციალური მდგრადობის გზაზეა. საერთაშორისო ბიზნესის წარმოებისთვის მიმზიდველი გარეგნოს ჩამოყალიბების თვალსაზრისით, საქართველომ მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია. ინვესტორები, საქართველოს სახით, ხედავენ სტაბილურ, სტუმართმოყვარე და განვითარებად სახელმწიფოს“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, რეფორმებმა შედეგი უკვე გამოიღო და ეროვნულ დონეზე უკვე ორჯერ ჩატარდა არჩევნები — საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის, რომლებიც საერთაშორისო შეფასებით, თავისუფალი და სამართლიანი იყო.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, საქართველოს ასევე მსოფლიო დონის მაჩვენებლები აქვს გამჭვირვალობისა და მედიის თავისუფლების კუთხით.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მიუხედავად ამისა, საქართველოს წარმატების ისტორია სერიოზული გამოწვევებითაა სავსე. გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, შიდა რეფორმები წარმატებით მიმდინარეობს, თუმცა ქვეყანა მნიშვნელოვან საგარეო გამოწვევებს აწყდება.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, საქართველოს მთავრობა რუსეთთან კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მიზნის ერთგულია.

„სხვადასხვა მოვლენის მიუხედავად, ჩვენ არ ვიშურებთ ძალისხმევას, განვაგრძოთ ძალიან მყიფე, თუმცა, ძალიან საჭირო ნდობის აღდგენის პროცესი, ქართველებსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ და-ძმებს შორის. ეუთოს მნიშვნელობა სწორედ ამ კონფლიქტების გადაჭრაში მდგომარეობს — ეს საგულისხმოა, რადგან იგი ხელს უწყობს რეგიონის სტაბილურ განვითარებას. ეუთოს ძალა მის მრავალ განზომილებაშია“, — განაცხადა პრემიერმა და აღნიშნა, რომ ეუთო კონსენსუსისა და ერთიანი ხედვის არარსებობის პასუხად შეიქმნა.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, სწორედ ამ მიზეზის გამო, ეუთო დღეს უმნიშვნელოვანესია.

„ჩვენი ბედი ყოველთვის ჩვენს ხელში არაა, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მომავალზე ზემოქმედების შესაძლებლობა არ გვაქვს. საქართველოში ჩვენ გვწამს ჩვენი ევროპული მომავლის. მართლაც, იმის გათვალისწინებით, რამდენს მიაღწია საქართველომ, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგიონალური გამოწვევების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ჩვენ ვგეგმავთ, განვითარება ამ მიმართულებით განვაგრძოთ“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ჯალათი ნაციონალებისგან წამებული სულხან მოლაშვილის ბოლო ინტერვიუდან:

— „ქართული ოცნების“ ფიასკოს შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს სააკაშვილის მახინჯი რეანიმაციის საფრთხე. ეს არ არის არც დაშინება და არც არაფერი. მე უბრალოდ ასე ვფიქრობ. ღმერთმა ნუ გაგვითენოს ის დღე, როცა პარლამენტში „ნაციონალებისა და „ოცნების“ თანაბარი რაოდენობა იქნება. ეს იქნება საქართველოს უკან დახევა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში და ეს იქნება თითით საჩვენებელი სასაცილო ქვეყანა“.

პრეზიდენტი ანგელა მერკელს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი ქართულ დელეგაციასთან ერთად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ანგელა მერკელს შეხვდა.

შეხვედრისას მხარეებმა ორმხრივი ურთიერთობები განიხილეს, გამოითქვა კონკრეტული მოსაზრებები ეკონომიკური თანამშრომლობის და ტურიზმის მიმართულებით.

მხარეებმა ასევე იმსჯელეს ევროპული და ევროატლანტიკური დღის წესრიგის შესახებ.

როგორც პრეზიდენტის საგარეო მდივანმა თენგიზ ფხალაძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, გერმანია იყო და რჩება საქართველოს მტკიცე მხარდამჭერად.

შეხვედრისას ასევე განხილული იყო ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო. მხარეებმა ევროკავშირში მიმდინარე პროცესებზეც იმსჯელეს.

* * *

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს პედრო აგრამუნტს შეხვდა.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა პედრო აგრამუნტს სახელმწიფოებრიობის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აქტიური მხარდაჭერისთვის.

შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებზე, მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მიმართულებით შექმნილ მდგომარეობაზე და ასევე, რეგიონში არსებულ ვითარებაზე.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადების საკითხს და წინასაარჩევნო გარემოს.

როგორც გიორგი მარგველაშვილმა შეხვედრისას აღნიშნა, საქართველოს ხელისუფლება დაინტერესებულია, შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების პროცესს, რაც შეიძლება მეტი დამკვირვებელი უწევდეს მონიტორინგს.

ახმედ ჩატაევი სტამბოლის ტრაგედიის ორგანიზატორია?

თურქეთის მასმედიამ სტამბოლის ათა თურქის სახელობის აეროპორტში მომხდარი ტერაქტის ორგანიზატორის სახელი და გვარი გაახმაურა. ეს იყო ჩეჩენი ახმედ ჩატაევი.

გამოცემა Eyni Safak-ის მონაცემებით, თურქეთის უმსხვილესი აეროპორტის ტერმინალში აფეთქების მომწყობი ერთ-ერთი კამიკაძე ჩეჩნეთის მკვიდრი ოსმან ვადინოვი იყო. ორივე ტერორისტს — ჩატაევსა და ვადინოვს „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირში ადანაშაულებენ.

Eyni Safak-ი გვაცნობებს, რომ ჩატაევი ცნობილ ჩეჩენ ტერორისტ დოკუ უმაროვთან მუშაობდა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ — 2013 წელს დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოს“ შეუერთდა. ტერორისტები თურქეთში 25 მაისს ჩავიდნენ და სტამბოლის სავაჭრო ცენტრ Historia-ს მახლობლად ბინა დაიქირავეს. 28 მაისს მათ ტაქსი გამოიძახეს, აეროპორტში გაემგზავრნენ და იქ ტერაქტი მოაწყვეს. თუ სად იმყოფება ამჟამად ჩატაევი, გაზეთის პუბლიკაციაში არაფერია ნათქვამი.

შეგახსენებთ, რომ 28 ივნისს სტამბოლის ათა თურქის სახელობის აეროპორტის საერთაშორისო ტერმინალში 3 აფეთქება მოხდა. სამმა ტერორისტმა-კამიკაძემ მგზავრებს ავტომატის ჯერი გაუხსნა, რის შემდეგაც ტერმინალის სხვადასხვა ადგილზე თავი აიფეთქა. ბოლო მონაცემებით, ტერაქტს 43 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მათ რიცხვში 13 უცხოეთის მოქალაქე იყო, ხოლო 239 მძიმედ დაშავდა.

სტამბოლის აეროპორტში მომხდარ ტერაქტზე პასუხისმგებლობა დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ“ თავის თავზე აიღო.

ცალხელა ბანდიტი

როგორც ცნობილია, ახმედ ჩატაევი მეორე ჩეჩნური კამპანიის დროს დააკავეს, თუმცა მან სასჯელს თავი აარიდა. 2003 წელს იგი ავსტრიაში გაიქცა და ლტოლვილის სტატუსი მიიღო. მან განაცხადა, რომ წინასწარი პატიმრობის საკანში აწამებდნენ და ხელი იქ მოჰკვეთეს. სხვა მონაცემებით, ჩატაევს ხელის ამპუტაცია დაჭრის შემდეგ ჩაუტარდა.

2009 წელს ჩატაევი საქართველოში, ლოპოტას ხეობაში, ქართველი მეომრებისგან შემდგარ სამძებრო რაზმთან შეტაკებისას, იარაღის უკანონო შენახვისა და ტარების ბრალდებით დააკავეს. იმ ბრძოლაში 11 ბანდიტი და 3 ქართველი ძალოვანი დაიღუპა. მაშინ ჩატაევმა განაცხადა, რომ ბანდიტებთან კავშირი არ ჰქონია. მოგვიანებით იგი თბილისის საქალაქო სასამართლომ წარდგენილ ბრალდებაში გაამართლა და გაათავისუფლა. ამის შემდეგ ჩატაევმა სირიას მიაშურა და დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოში“ ყველა რუსულ მიმართულებას კურირებდა.

წინასწარი ბრალდებები და სპეკულაციები მიუღებელია!

აჰმეტ ჩატაევის საკითხს გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, თურქული მხარის ოფიციალური განცხადება ამასთან დაკავშირებით მოსმენილი არ აქვს, თუმცა ვინც არ უნდა იყოს ტერორისტი, უნდა დაისაჯოს.

ნინო ნიორაძე

ფრანკ ვალტერ შტაინმაიერი: ვმუშაობთ იმაზე, რომ არსებობდეს ნატო-საქართველო, რომლის დანერგვაც არის ჩვენი ერთობლივი მუშაობის პროდუქტი

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ფრანკ ვალტერ შტაინმაიერის განცხადებით გერმანია მხარს უჭერს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას.

„თუ თქვენ ნატოში გაწევრიანების გრძელვადიან პერსპექტივებზე საუბრობთ, არსებობს 2008 წლის ბუქარესტის სამიტის შეთანხმება. საქართველოში ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ გერმანია ამას მხარს უჭერს. ვმუშაობთ იმაზე, რომ არსებობდეს ნატო-საქართველო, რომლის დანერგვაც არის ჩვენი ერთობლივი მუშაობის პროდუქტი და ეს მომავალშიც გაგრძელდება,“ — აღნიშნა შტაინმაიერმა ქართველ კოლეგასთან, მიხეილ ჯანელიძესთან ერთად გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

თავის მხრივ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ აღნიშნა, რომ საქართველო ძალიან მტკიცე ნაბიჯებით ახორციელებს ნატოში ინტეგრაციის პროცესს.

„ჩვენ გერმანიის დახმარებით ეფექტურად ვახორციელებთ სპეციალურ პაკეტს, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ გაძლიერდეს საქართველოს თავდაცვისუნარიანობა, მოხდეს მეტი თავსებადობა ნატოსთან. ასევე, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული დეკემბრის მინისტერიალზე, სადაც აღინიშნა, რომ საქართველოს გააჩნია ყველა ინსტრუმენტი, რომელიც მას წევრობისკენ აახლოებს. ასევე, აღინიშნა ისიც, რომ საქართველო ამ ინსტრუმენტებს ეფექტურად იყენებს“, — განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

გიორგი კვირიკაშვილი შტაინმაიერს მადლობას მოახსენებს

საქართველო-გერმანიის ორმხრივი ურთიერთობები, საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის დღის წესრიგი და რეგიონში არსებული ვითარება იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის (Frank-Walter Steinmeier) შეხვედრის მთავარი თემები.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს საქართველოში ვიზიტისთვის, რაც ორი ქვეყნის პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობების კიდევ ერთ ნათელ გამოხატულებად შეაფასა.

გიორგი კვირიკაშვილმა და ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა საქართველოში მიმდინარე და დაგეგმილ დემოკრატიულ რეფორმებზე და ევროინტეგრაციის დღის წესრიგზე ისაუბრეს. ხაზი გაესვა ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს მიერ გაწეულ ძალისხმევას და ამ პროცესში გერმანიის მხარდამჭერ როლს.

საუბარი შეეხო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა არჩევნების სამართლიან, ღია და თავისუფალ გარემოში ჩატარების მნიშვნელობას. აღინიშნა, რომ საქართველოში, წინასაარჩევნო პერიოდის სტანდარტი მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული და გადადგმულია ძირეული ნაბიჯები დემოკრატიის კუთხით. ყურადღება გამახვილდა საარჩევნო პროცესში საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების ჩართულობის მნიშვნელობაზე.

იანოშ ჰერმანი: ...ახლა არის დრო, როცა მომავალში საუბარი აღარ მოგვიწევს

საქართველო ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ოფიციალურად ამოქმედდებასთან დაკავშირებით მთელ ქვეყანაში სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებები იმართება. სპეციალური განცხადება ამ თემაზე თბილისში ევროკავშირის ელჩმა იანოშ ჰერმანმა გააკეთა.

„ასეთ ღონისძიებაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხოლმე, რომ ევროკავშირმა ქართულად ისაუბროს. ბოდიშს ვიხდი, რომ თავად არ შემიძლია ქართულად საუბარი, მაგრამ ვცდილობთ და ვსწავლობთ. ბევრ თქვენგანს ალბათ გაუკვირდა, რომ მხოლოდ ახლა შედის სრულად ძალაში ასოცირების შეთანხმება, ვინაიდან გასულ წლებში ჩვენ ძალიან ბევრს ვაკეთებდით ასოცირების შეთანხმების ფარგლებში. ჩვენ ვაფასებთ იმ მიღწევებს, რომლებიც საქართველოს აქვს ასოცირების შეთანხმების განხორციელების ფარგლებში. ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ასოცირების შეთანხმება მოიტანს „ამას“, გააკეთებს „იმას“, მე მგონი ახლა არის დრო, როცა მომავალში საუბარი აღარ მოგვიწევს და ვიტყვით, რომ ესა თუ ის პროცესი აწმყოში ხდება. ასოცირების შეთანხმება ქვაკუთხედია ჩვენი ურთიერთობებისა საქართველოსთან...

ასოცირების შეთანხმება ეს არის პროცესი, რომელიც სრულად არის დაფუძნებული ქართველი ერის ნებაზე, ამ ნებას ახორციელებს საქართველოს ხელისუფლება და მთელი ეს პროცესი ხორციელდება ქართველების მიერ, ქართველებისთვის. ევროკავშირი აქ მხოლოდ იმისთვის ვართ, რომ დაგეხმაროთ“, — განაცხადა იანოშ ჰერმანმა.

ჯალათი ნაციონალებისგან წამებული

სულხან მოლაშვილის ბოლო ინტერვიუდან:

— ეს მისი პირადი საქმეა. პირადად მე მივესალმებოდი ამ ფაქტს. ბიძინა ივანიშვილმა მოახერხა, გამკლავებოდა იმ სიძნელეებს, რაც ქვეყნის წინაშე არსებობდა. ვიტყოდი, რომ პოლიტიკურ სივრცეში ერთ-ერთი უიშვიათესი გამონაკლისია, რომელიც უშეცდომოდ თამაშობს. კარგი იქნება, თუ მისი თანამოაზრეები მისგან ბევრ რამეს ისწავლიან. უპირველეს ყოვლისა, თავმდაბლობას, მოთმინებას და გადაწყვეტილების მიღებას იმ შემთხვევაში, როდესაც კარგად აწონი. თუკი ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდება, ეს ძალიან კარგი იქნება.

რომის პაპი ფრანცისკე საქართველოსა და აზერბაიჯანს ეწვევა

როგორც დასავლური მედია იტყობინება, ამის შესახებ თავად პაპმა ვატიკანში წმინდა პეტრეს მოედანზე ქადაგების დროს განაცხადა.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ვიზიტი 30 სექტემბიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით შედგება.

„სამ თვეში გავემგზავრები საქართველოსა და აზერბაიჯანში. კავკასიის რეგიონის ამ ქვეყნებში ვიზიტი გადავწყვიტე იმისთვის, რომ ხაზი გავუსვა მათ უძველეს ქრისტიანულ ფესვებსა და ავამაღლო იმედი და მშვიდობა“, — განაცხადა პაპმა.

შეგახსენებთ, რომ 24-26 ივნისს რომის პაპი სომხეთს ეწვია.

პრემიერი აბიტურიენტებს მიმართავს

„აბიტურიენტების ცხოვრებაში ახალი ეტაპი დგება, ამიტომაც ამ დღეს განსაკუთრებული მღელვარება ახლავს თან.

მინდა, მოგილოცოთ დღევანდელი დღე და თითოეულ თქვენგანს გისურვოთ საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა და წარმატება.

დარწმუნებული ვარ, თქვენ აუცილებლად მიაღწევთ დასახულ მიზანს და საქართველოს თქვენი სახით განათლებული და საამაყო თაობა ეყოლება“, — ნათქვამია პრემიერ-მინისტრის განცხადებაში.

„ჩემი სახით, კიდევ ერთი გულშემატკივარი გყავთ... აბა, თქვენ იცით!“

განათლების მინისტრი აბიტურიენტებს მიმართავს და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წარმატებებს უსურვებს:

„ყველა აბიტურიენტს წარმატებას და მალე, სტუდენტობას გისურვებთ. მთავარია, არ ინერვიულოთ და დადებითი განწყობით მიხვიდეთ გამოცდაზე.

ყველა საგამოცდო ცენტრში კომფორტული გარემოა შექმნილი, რომ მაქსიმალურად კარგად გამოავლინოთ თქვენი ცოდნა.

გახსოვდეთ, რომ, ჩემი სახით, კიდევ ერთი გულშემატკივარი გყავთ. თქვენს შესაძლებლობებშიც დარწმუნებული ვარ და ვიცი, როგორც სტუდენტებს, მალე შეგხვდებით. აბა, თქვენ იცით!“, — წერს ალექსანდრე ჯეჯელავა „ფეისბუქზე“.

ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო

გუშინ რეგისტრაცია ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე დილის 8 საათზე დაიწყო. აბიტურიენტები პირველ გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში აბარებენ. წელს პირველად, გამოცდები ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით ჩატარდება. ფორმატის ცვლილება მხოლოდ ტესტის და არა პასუხების ფურცლის ელექტრონულად მიწოდებას ითვალისწინებს. გამოცდის დასასრულებლად დრო 4 საათი და 15 წუთია.

„ყველა აბიტურიენტი აბარებს გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში, როგორც წესი, რეგისტრაცია დაიწყო დილის 8 საათზე და 9 საათზე ზუსტად ყველა საგამოცდო ცენტრში დასრულდა რეგისტრაცია. 21 საგამოცდო ცენტრი ფუნქციონირებს მთელი საქართველოს მასშტაბით, ძალიან მშვიდ ვითარებაში ჩაიარა რეგისტრაციამ, დაახლოებით 8 ათასი აბიტურიენტი უნდა გამოცხადებულიყო დღეს გამოცდაზე და ზუსტად 09:00 საათზე ყველა საგამოცდო ცენტრში, ყველა აბიტურიენტისთვის გაიხსნა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი.4 საათი და 15 წუთია გამოყოფილი იმისათვის, რომ შეასრულონ მათთვის განკუთვნილი დავალება, წინა წლებთან შედარებით 15 წუთით არის საგამოცდო დრო გაზრდილი იმის გამო, რომ ჩვენ სიახლე შევთავაზეთ აბიტურიენტებს. მათ ელექტრონული ბუკლეტები მიეწოდებათ და აქედან გამომდინარე 15 წუთი სწორედ ამის გამო დაემატა,“ — განაცხადა მაია მიმინოშვილმა. ერთიანი ეროვნული გამოცდები 22 ივლისს, ფიზიკის გამოცდით დასრულდება.



რას მოგვიტანს დიდი ჰესების მშენებლობა – დიდ სიკეთეს თუ დიდ ზიანს?



ამ ორი დღის წინათ თბილისში საჯარო ბიბლიოთეკაში შეიკრიბნენ სვანეთის მკვიდრნი, რომლებიც მესტიის რაიონში დიდი ჰესების, მათ შორის ნენსკრაჰესის, მშენებლობას აპროტესტებენ. მათი მტკიცებით, ჰესების მშენებლობა სვანეთს მოსახლეობისგან დაცლის. იგი ნეგატიურად აისახება სვანეთის ეკოლოგიურ მდგომარეობაზეც. ნენსკრაჰესზე უარის თქმის მოთხოვნით, პარლამენტის შენობის წინ გუშინ გაიმართა პირველი საინფორმაციო შეკრება. ამავე მოთხოვნით, 3 ივლისს სვანეთის მკვიდრნი სოფელ ჭუბერში გამართავენ აქციას. ჭუბერის თემი აპირებს, მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს, პოლიტიკურ პარტიებსა და სახალხო დამცველს. ნენსკრაჰესის პერსპექტივასთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებული შეხედულება აქვს ენერგეტიკის სამინისტროს.

დოდო ჩხვიმიანი ჭუბერიდანაა. მდინარე ნენსკრის ნაპირებზე გავიზარდეო, ამბობს. ის საჯარო ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში სვანეთის სხვა მკვიდრებთან ერთად მაგიდას უზის და მესტიის რაიონში დიდი ჰესების მშენებლობის ნეგატიურ შედეგებზე ლაპარაკობს. მისი აზრით, დიდი ჰესების მშენებლობა სვანეთსა და მის სოფლებს საფრთხეს უქმნის.

სოფელ ნაკრიდან ჩამოვიდა გიორგი ცინდელიანი. 34 ჰესის მშენებლობა იგეგმება მესტიის რაიონში და ამ მშენებლობების გასაპროტესტებლად ჩამოვედი თბილისშიო. გიორგი ამბობს, რომ ჰესების მშენებლობა სვანეთის მოსახლეობას იძულებულს გახდის, მიატოვონ სოფლები, მამაპაპეული სახლები და თავშესაფარი სხვაგან ეძებონ. განსაკუთრებით სადარდებლად მიიჩნევს ნენსკრაჰესის მშენებლობას, რომელსაც მდინარე ენგურის შენაკადზე საპარტნიორო ფონდი აშენებს და რომელიც 280 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური უნდა იყოს. როგორც გიორგი რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას ამბობს, ბურღვითი სამუშაოები უკვე დაწყებულია.

ნენსკრაჰესის მშენებლობა 2021 წლისთვის უნდა დასრულდეს, ჰესის პოტენციური წლიური გამომუშავება კი 1.2 მილიარდი კილოვატსაათი იქნება. პროექტის მიხედვით, ელექტროსადგური გამომუშავებას 2019 წლიდან დაიწყებს, პროექტის ჯამური ღირებულება კი 1 მილიარდ აშშ დოლარს გაუტოლდება.

სვანეთის მკვიდრთა შეკრების ერთერთი ინიციატორი, საზოგადოებრივი აქტივისტი ცოტნე გამსახურდია რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას ამბობს, რომ მესტიის რაიონში ჰესების მშენებლობის პროცესში შეუსწავლელია გარემოზე ზემოქმედების, სეისმოლოგიური და გეოლოგიური საკითხები. მისი თქმით, სწორედ ეს არის მესტიის მკვიდრთა და გარემოს დამცველთა პროტესტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

„რატომ უნდა გაჩერდეს ერთმილიარდდოლარიანი კერძო ინვესტიცია. რომელიც მთლიანად გარდაქმნის ზემო სვანეთის რეგიონს, შეიტანს უამრავ სიკეთესა და დოვლათს და ამ დროს თურმე ეს არ უნდა განხორციელდეს. რაც შეეხება ჩართულობას, პროექტში მონაწილეობს მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია. ეს პროექტი უმაღლესი სტანდარტებით ხორციელდება. რაც შეეხება სპეციალურ და ეკოლოგიურ საკითხებს, შეუძლებელია, რომ მოსახლეობას ამასთან დაკავშირებით პრეტენზია ჰქონდეს, რადგან ეს პროექტი გადის ყველანაირ ფილტრს“.

საჯარო ბიბლიოთეკაში შეკრებილ სვანეთის მკვიდრთ შეხვდა „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია. როგორც ის ამბობს, „ყველა ენერგეტიკული პროექტი უნდა განხორციელდეს მაღალი სტანდარტების დაცვით, ეკოლოგიური პრობლემების გათვალისწინებით და, რაც მთავარია, ზუსტად უნდა ვიცოდეთ, პროექტი რამდენად შეეხიდება და გააძლიერებს საქართველოს ენერგოუსაფრთხოებას. სამწუხაროდ, მოსახლეობას ამაზე არა აქვს ინფორმაცია, ეს პროცესები არ ხდება ღიად, ღია დისკუსიების ფონზე და მაინტერესებს, მოვისმინო სვანეთის მოსახლეობის აზრი“.

გარემოსდამცველი ლაშა ჩხარტიშვილი კოალიცია „ქართული ოცნების“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის დაწერილი საარჩევნო პროგრამის გარემოს დაცვის ნაწილის ავტორია. მისი თქმით, მას, როგორც ამ პროგრამის ერთ-ერთ ავტორს, კარგად ახსოვს, რომ კოალიციის პროგრამაში ჩადებული იყო პირდაპირი დაპირება დიდი ჰესებისა და ატომური სადგურების მშენებლობის აკრძალვის თაობაზე. ლაშა ჩხარტიშვილის თქმით, ეს პირობა კოალიციამ უხეშად დაარღვია:

„ჩვენ არ ვაპირებთ შეგუებას. სწორედ იმიტომ აღარ ვართ მეც და სხვა ბევრი ადამიანიც ამ ხელისუფლების გვერდით, რომისინი საკუთარ ამომრჩეველს ატყუებენ. ჩვენ ვაპირებთ, რომ სანამ ეს ხელისუფლება კიდევ ხელისუფლებაშია, დავაბრუნოთ პროგრამის ჩარჩოებში და, მათ შორის, დიდი ჰესების მშენებლობას შევუშალოთ ხელი, რადგან სწორედ ეს იყო მათი დაპირება“.

უკვე დიდი ხანია, დიდი ჰესების ალტერნატიული ენერგიის წყაროებით ჩანაცვლებაზე საუბრობენ გარემოსდამცველები. ამის შესახებ ლაპარაკობდა ცოტა ხნის წინათ რადიო „თავისუფლებასთან“ გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე თეიმურაზ მურღულიაც. მისი თქმით, გარემოს დაცვის სამინისტრო ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად მუშაობს გეგმაზე, თუ როგორ ჩაანაცვლონ მომავალში დიდი ჰესები ალტერნატიული ენერგიის წყაროებით, თუმცა გეგმა ამ ეტაპზე მხოლოდ დამუშავების პროცესშია.

დიდი ჰესების მშენებლობას აკრიტიკებს გარემოსდამცველი ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივაც“. მისი წარმომადგენელი ირაკლი მაჭარაშვილი ფიქრობს, რომ არ შეიძლება ქვეყანა ორიენტირებული იყოს მხოლოდ რესურსების მაქსიმალურ ათვისებაზე.

რადიკალურად განსხვავებული შეხედულება აქვს ნენსკრაჰესის პერსპექტივის შესახებ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილს. როგორც ის რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას ამბობს, ჰესის მშენებლობა არათუ დაცლის სვანეთს მოსახლეობისგან და ეკოლოგიურად დააზიანებს მას, არამედ, პირიქით, მისი სიტყვებით, ნენსკრაჰესი მთლიანად გარდაქმნის ეკონომიკურ სიტუაციას სვანეთის რეგიონში. შესაბამისად, ის ამბობს, რომ ნენსკრაჰესის მშენებლობა არავითარ შემთხვევაში არ შეჩერდება. მისივე სიტყვებით, პროექტი ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვითა და საზოგადოების აქტიური ჩართულობით:

„რატომ უნდა გაჩერდეს ერთმილიარდდოლარიანი კერძო ინვესტიცია, რომელიც მთლიანად გარდაქმნის ზემო სვანეთის რეგიონს, შეიტანს უამრავ სიკეთესა და დოვლათს და ამ დროს თურმე ეს არ უნდა განხორციელდეს. რაც შეეხება ჩართულობას, პროექტში მონაწილეობს მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია. ეს პროექტი უმაღლესი სტანდარტებით ხორციელდება. რაც შეეხება სპეციალურ და ეკოლოგიურ საკითხებს, შეუძლებელია, რომ მოსახლეობას ამასთან დაკავშირებით პრეტენზია ჰქონდეს, რადგან ეს პროექტი გადის ყველანაირ ფილტრს“.

ნენსკრაჰესის მშენებლობის შესახებ პირველი ინფორმაცია ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს გაჩნდა, 2012 წლის დასაწყისში. მაშინ მესტიაში ჩატარებულმა საჯარო განხილვამ ჰესის მშენებლობის მიმართ მოსახლეობის დიდი ნაწილის ნეგატიური დამოკიდებულება გამოავლინა.

ნინო თარხნიშვილი

გიგანტური ჰესების მშენებლობას ეწინააღმდეგებიან

თბილისში, საქართველოს პარლამეტთან სვანეთში გიგანტური ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ საპროტესტო-საინფორმაციო აქცია გაიმართა. აქციაში მონაწილეობდნენ საზოგადოების წარმომადგენლები, გარემოსდაცვითი ორგანიზაციების წევრები, რიგითი მოაქლაქეები.

აქციაზე მისმა ერთერთმა ორგანიზატორმა ლაშა ჩხარტიშვილმა განაცხადა, საზოგადოება არ დაუშვებს ხელისუფლების მხრიდან მისი მოტყუების უფლებას.

ელექტროენერგიის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების, ან ბიუჯეტის შევსების მოტივით ეკოლოგია და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები საფრთხის ქვეშ არ უნდა დადგეს.

დღეს სვანეთშიც გაიმართება მორიგი აქცია ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ.

„უსაფრთხო სოფელი“ პატარებისთვის

შს მინისტრის განცხადებით საქართველოში პატარებისთვის მალე „უსაფრთხო სოფელი“ შეიქმნება. ამის შესახებ გიორგი მღებრიშვილმა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების თემაზე კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოებაზე განაცხადა.

„იცით, რატომ იყო ეს კონკურსი ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი? იმიტომ, რომ ასეულობით ბავშვმა დაიწყო ფიქრი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მნიშვნელობაზე და ეს ჩემთვის და ჩემი უწყებისთვის ძალიან დიდი გამარჯვებაა. დანაშაულის პრევენცია, ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება პირდაპირ კავშირშია ბავშვებისა და მოზარდების შესაბამის განათლებასთან. ამ მიზნით, ჩვენ ბევრ პროექტს ვახორციელებთ. მალე საქართველოში პატარებისთვის „უსაფრთხო სოფელი“ შეიქმნება, სადაც ბავშვებს მათთვის გასაგებ ენაზე, შემეცნებითგასართობი მეთოდებით, უსაფრთხოების ძირითად პრინციპებს აზიარებენ. გმადლობთ ყველას, რომ ერთად გადავდგით კიდევ ერთი ნაბიჯი უსაფრთხო საგზაო მოძრაობისკენ“, – განაცხადა მღებრიშვილმა.

სამტრედიაში სტიქიისგან დაზიანებული ხიდი აღდგენილია

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორთან გივი ჭიჭინაძესთან ერთად სამტრედიის მუნიციპალიტეტში ორი სოფლის დამაკავშირებელი , განახლებული ხიდი გახსნა.

ხიდი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფლებს ტოლებსა და ბუღნარას აკავშირებს. ძველი ხიდი 2014 წელს წყალდიდობისას დაზიანდა. განახლებული ხიდით კი ორი სოფლის 900-მდე მოსახლე ისარგებლებს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ხიდი უმოკლესი დამაკავშირებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტთანაც.

პროექტი საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით განხორციელდა და მისი ღირებულება 820 000 ლარია.



ბრიტანეთის რეფერენდუმი და საქართველო



ბოლო 10 დღის განმავლობაში მსოფლიოს პოლიტიკურ არენაზე უსერიოზულეს ძვრებს ჰქონდა ადგილი, ისეთს, მრავალი წლის განმავლობაში რომ სერიოზულ გავლენას იქონიებს კაცობრიობაზე. მკითხველი ალბათ გადაჭარბებულად ჩამითვლის ჩემს ვარაუდს, მაგრამ საერთაშორისო ვითარებაში გარკვეული, არა. დიდ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმი და ტაშკენტში გამართული შანხაის ორგანიზაციის მორიგი სამიტი („შოსი“) არის ის, რაც მაიძულებს, გამოვიტანო მსგავსი დასკვნა.

დიდი ბრიტანეთის რეფერენდუმი, ევროკავშირში დარჩენა-გამოსვლასთან დაკავშირებით ისეთი რამ იყო, ყველა რომ ინტერესით ადევნებდა თვალს. ეს, ის შემთხვევა იყო, როდესაც მთელი ევროპა ფიქრობდა ბრიტანეთის გასვლის შესახებ, მაგრამ გულში იმედოვნებდა, რომ ეს არ მოხდებოდა.

ვარაუდი არ გაუმართლდათ. მიზეზი ბევრია და მისი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. შევეცდები, ვთქვა მთავარი, რამაც აიძულა ბრიტანელები, უარი ეთქვათ ევროკავშირისთვის. **სოციალური მდგომარეობა და სუვერენიტეტი — აი, ამ ორმა ფაქტორმა გადაწყვიტა ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა.**

1951 წელს შეიქმნა ქვანახშირისა და ფოლადის კავშირი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შუმანის ინიციატივით. მასში საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ნიდერლანდები, ბელგია და ლუქსემბურგი შევიდნენ. შექმნის მიზანი წმინდა ეკონომიკური ხასიათისა იყო, თუმცა წლების განმავლობაში ამ ორგანიზაციამ სახელიც იცვალა და პოლიტიკაც, რასაც უდავოდ აშშ-მა უბიძგა.

ბოლო 20 წლის განმავლობაში, უკვე ევროკავშირად წოდებულმა ორგანიზაციამ კარდინალურად შეცვალა სტრუქტურა, იერარქიული წყობა და რაც მთავარია, პოლიტიკა. ევროკავშირი იქცა ნაკლებად ეკონომიკურ, მეტად პოლიტიკურ ორგანიზაციად — მტკიცე იარაღად აშშ-ის ხელში რუსეთის წინააღმდეგ. ორგანიზაციამ თავის უპირველეს ამოცანად მიიჩნია არა მარტო აღმოსავლეთ ევროპის, ყოფილი სოციალისტური ქვეყნების თავის რიგებში გაწევრება, არამედ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისაც.

ცხადია, მათი ევროკავშირში შესვლა სუსტი ეკონომიკისა და განუვითარებელი სოციალური ყოფის შედეგად, შეუძლებელი გახდა, მაგრამ დაახლოების მიზნით ასოციირებული წევრობით დაჯილდოებამ უკრაინა, საქართველო და მოლდოვა ბრიუსელის კარს მიაბა. ამ აქტით, სამივე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის წასახალისებლად, ისე, როგორც დათვს ცირკში, პირში შაქარი ჩაუდეს და უთხრეს, თუ კარგად მოიქცევით, რუსეთისკენ არ გაიხედავთ და ჩვენს მოთხოვნებს დააკმაყოფილებთ — კარსაც გაგიღებთო.

დიდი ბრიტანეთი ყოველწლიურად იხდიდა ევროკავშირის წევრობის საწევროს 10 მილიარდი ევროს სახით, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა დედოფლის ქვეშევრდომთა შორის. ისინი ხშირად აცხადებდნენ — ვიხდით მონობის ფულსო.

ბრიტანეთის რეფერენდუმმა და ხალხის გადაწყვეტილებამ შეაზანზარა მსოფლიო. სრულიად შესაძლებელია, რომ ბრიტანეთის მაგალითი სხვამაც გაიზიაროს. ასეთები არცთუ ცოტაა. მათთვის უმთავრესი, საკუთარი სუვერენიტეტის და პოლიტიკურ-ეკონომიკური დამოუკიებლობის დაბრუნებაა. რეფერენდუმის შედეგები სერიოზულ გავლენას იქონიებს გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის სხვა წევრი სახელმწიფოების არჩევნებზე.

რეფერენდუმი გავლენას იქონიებს აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებზეც. ევროკავშირისა და ნატოს მოწინააღმდეგე ტრამპს მეტი მხარდამჭერი გამოუჩნდება. ტრამპის გამარჯვებას უდავოდ მოჰყვება დიდი პოლიტიკის ცვლა. ბრიტანეთის რეფერენდუმმა გზა გაუხსნა ახალ აზროვნებას, პოლიტიკურ არენაზე მოვლენების ახლებურ განვითარებას, რაც რევოლუციის ტოლფასია.

საქართველო რახანია ილტვის ევროპისკენ, თუმცა ნაკლები წარმატებით... მთავარი მიზეზი ჩვენი სუსტი ეკონომიკა, არანაკლები სუსტი სახელმწიფოებრიობა, სასამართლო სისტემა, სოციალური სიდუხჭირეა! რაც საქართველოსთვის გაიმეტა ევროკავშირმა — ასოციირებული წევრობაა, ისეთი, როგორიც ლათინური ამერიკისა და ჩრდილო აფრიკის არაერთ ქვეყანას აქვს.

იძლევა თუ არა ასოცირება, წევრობის შანსს? როგორც ბრიუსელმა განგვიმარტა — არა! ევროკავშირის წევრობისთვის საჭიროა საკუთარი კანონების ევროპულად გადაკეთება, რაც შრომატევადი საქმეა და წლები ესაჭიროება. ევროკავშირში შესასვლელად საჭიროა ეკონომიკის განვითარება. ეს უფრო შრომატევადი საქმეა, და რაც მთავარია, ხარჯებთან დაკავშირებული.

რეფერენდუმის დროს არაერთხელ გაიჟღერა ინგლისელ მცირე და საშუალო მეწარმეთა გულისწყრომის გამომხატველმა განცხადებებმა, საკუთარი ნაწარმის ევროპის ბაზარზე შეტანის საწინააღმდეგო ბარიერების თაობაზე. განსაკუთრებული უკმაყოფილება იყო მეთევზეთა მხრიდან. საქართველოს ხელისუფალთა მიხედვით, ევროკავშირის ბაზარი ღიაა ქართული პროდუქციისთვის.

მაგრამ რა პროდუქციაზეა საუბარი, როდესაც ვერაფერს ამზადებ? რასაც ამზადებ — ღვინოს და მინერალურ წყლებს — ევროპაში უხვადაა, რაც თავისთავად გამოიწვევს მათზე კვოტების დაწესებას. ევროპულ საქონელს კი საქართველოს ბაზარზე შეუზღუდავი ნავარდის საშუალება ექნება, რაც თავისთავად გამოიწვევს თვით ქართულ ბაზარზე კონკურენციას, ადგილობრივი წარმოების დაცემას და ა.შ.

არის თუ არა აკვიატებული ევროპული გზა ქვეყნისთვის გამოსადეგი? ქაღალდზე და ოცნებაში შესაძლებელია, მაგრამ ოცნების რეალობად გადაქცევას ბევრი დრო სჭირდება, შესაძლოა, არაერთი თაობა. ამასობაში ალბათ აღარც ევროკავშირი იქნება და აღარც ნატო.

დიდი ბრიტანეთი ყოველწლიურად იხდიდა ევროკავშირის წევრობის საწევროს 10 მილიარდი ევროს სახით, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა დედოფლის ქვეშევრდომთა შორის. ისინი ხშირად აცხადებდნენ — ვიხდით მონობის ფულსო.

რა სჯობს, რა გზის არჩევა? ამ კითხვამ, ბრიტანეთის რეფერენდუმის შემდეგ, მეტი აქტუალობა შეიძინა. მსოფლიოში ევროკავშირის წევრ 27 სახელმწიფოზე ათჯერ მეტი ქვეყანაა და ისინი არცთუ ცუდად ცხოვრობენ. მთავარია ქვეყნის პოლიტიკა, რომელიც ნაცვლად სხვაზე ჩამოკიდებისა, საკუთარ ქვეყანაზე და შრომაზე გაამახვილებს ყურადღებას, აქცენტს გადაიტანს მეზობლებთან ვაჭრობაზე, სადაც ჯერ კიდევ გადის აქაური პროდუქცია. საკუთარი ნაწარმის ექსპორტისთვის მისწრებაა ევრაზიული კავშირის ბაზარი, სადაც ჩვენნაირი ქვეყნებია გაერთიანეული, სადაც საქართველოს და მის პროდუქციას კარგად იცნობენ.

ევრაზიულ კავშირთან ურთიერთობების დამყარებას ბევრი ქვეყანა ცდილობს, ისე, როგორც „შოს“-თან. ტაშკენტში გამართულმა მორიგმა სამიტმა იმითაც მიიქცია ყურადღება, რომ მასში გაწევრიანდნენ ინდოეთი და პაკისტანი. დღევანდელ „შოს“-ში ბირთვული იარაღის მქონე 4 სახელმწიფოა რუსეთის, ჩინეთის, ინდოეთისა და პაკისტანის სახით.

უდიდესია მათი ადამიანური რესურსებიც. არანაკლებია ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული პროდუქტის წარმოების დონეც. ავიღოთ ერთ-ერთი მათგანი — ჩინეთი. ეროვნული პროდუქტის წარმოებით ჩინეთმა 2014 წელს მსოფლიოში პირველი ადგილი მოიპოვა — 17,6 ტრილიონი დოლარი - მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ხოლო აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიხედვით - 18,1 ტრილიონი დოლარი. იმავე ორგანიზაციების მიერ რუსეთი მეხუთე-მეექვსე ადგილზეა გამწესებული 3,6 ტრილიონი დოლარით.

2014 წლის მონაცემებით, ჩინეთმა აწარმოა 2,5 მილიარდი ტონა ცემენტი ანუ მსოფლიო წარმოების 60%; 0,9 მილიარდი ტონა ფოლადი (49%); 0,6 მილიარდი ტონა თუჯი (54%); 3,9 მილიარდი ტონა ქვანახშირი (47%); 1,5 მილიარდი ტონა რკინის მადანი (50%); 24 მილიონი ტონა ალუმინი (46%).

იბადება კითხვა — რისთვის სჭირდება ყოველივე ეს ჩინეთს? — ყველაზე სწრაფი გზების, ცათამბჯენების, ხიდების, რკინიგზის სადგურების, აეროპორტების, ქალაქების, ჰიდროელექტროსადგურების ასაშენებლად.

2011-დან 2013 წლამდე ჩინეთმა იმდენი ცემენტი დაამზადა, რამდენიც ამერიკამ 100 წლის განმავლობაში. მსოფლიოში 330000 კილომეტრის სუპერ თანამედროვე გზებია, რომელთაგან 112000 კმ ჩინეთშია, 77000 კმ — აშშ-ში; 32000 კმ სწრაფი რკინიგზიდან 15300 ჩინეთშია, აშშ-ში — 362 კმ, რუსეთში — არც ერთი. 2018 წელს დამთავრდება პეკინის აეროპორტის მშენებლობა, რომელიც წლიურად 45 მილიონ მგზავრს მოემსახურება. ჩინეთმა ააშენა ჰიდროელექტროსადგური, რომლის სიგანე 2 კილომეტრია, კაშხლის სიმაღლე 182 მეტრი. სხვა მონაცემების მოყვანაც შიძლება, თუმცა ესეც კმარა.

რამ გამოიწვია 30 წლის წინათ ჩამორჩენილი ქვეყნის, მსოფლიოს პირველ ეკონომიკად გადაქცევა? უპირველესად კერძო და სახელმწიფო სექტორების გონივრულმა შერწყმამ.

ქვეყნის შიდა მოწყობასთან ერთად, ჩინეთმა კარგა ხანია, დაიწყო უცხოეთში ინვესტიციების ჩადება, რომელიც დღევანდელი 744 მილიარდი დოლარიდან 2 ტრილიონამდე გაიზრდება 2020 წლისთვის.

ჩინეთმა 2009 წლიდან დაიწყო აქტივების ინტენსიური შეძენა აშშ-ში. თუ 2009 წელს ის ამ საქმეში 100 მილიონ დოლარს ხარჯავდა, 2016 წელს — 5 მილიარდს. ჩინეთი აწვდის აშშ-ს სამხედრო მრეწველობის მილიონ დეტალს. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ჩინეთი ავითარებდა რეალურ სექტორს, აშშ კი ზრდიდა საგარეო ვალს.

დღევანდელი ამერიკის ექსპორტი, ორჯერ ჩამოუვარდება იმპორტს და საერთო მოცულობით ის არა მარტო ჩინეთს ჩამოუვარდება, არამედ გერმანიას. თუ წინათ აშშ-ში წარმოება იძლეოდა 80% მოგებას, დღეს იძლევა მხოლოდ 50% და ისიც საფინანსო სექტორის წყალობით.

წარმატებული ქვეყნების რიცხვშია ინდოეთიც. „შოს“-ში ამ ორი გიგანტის არსებობა ბევრს ნიშნავს. უპირველესად კი იმას, რასაც ეკონომიკური წინსვლა ჰქვია. მაინც, რაოდენ ბრმა უნდა ვიყოთ ჩვენ, გვერდით მიმდინარე პროცესები ვერ დავინახოთ და ცხრა მთას იქით ვიმზირებოდეთ. ხომ არ დადგა ჟამი რადიკალურად განსხვავებული კურსის ამოქმედებისა?

20 წელიწადზე მეტია, სადღაც მივექანებით, ნაკლები დაფიქრებით და გააზრებით. სადამდე უნდა გაგვიგრძელდეს უკომპასო ბოდიალი?!

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

„საქართველო წინ მიიწევს ნატოსკენ მიმავალ გზაზე “

იტალიაში ვიზიტისას საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი იტალიელ კოლეგას რობერტა პინოტის შეხვდა. თავდაცვის მინისტრების შეხვედრა ბარაკინის სასახლეში გაიმართა.

შეხვედრისას მხარეებმა საქართველოსა და იტალიას შორის თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო ნატოს ვარშავის სამიტზე საქართველოს მოლოდინებსა და ნატო-საქართველოს თანამშრომლობის მექანიზმებს. მხარეებმა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) განხორციელებაში, კერძოდ კი თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის (DIB) პროექტში იტალიის ჩართულობის საკითხიც განიხილეს. შეხვედრის ერთ-ერთი თემა საერთაშორისო მისიებში საქართველოს წვლილი იყო.

იტალიის თავდაცვის მინისტრი 2017 წელს ავღანეთის მისიაში საქართველოს მონაწილეობის საკითხითაც დაინტერესდა. მხარეებმა რუსეთის ქმედებებსა და რუსულ პროპაგანდაზეც გაამახვილეს ყურადღება.

იტალიის თავდაცვის მინისტრმა ქართულ მხარეს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და საერთაშორისო მისიებში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა. **„საქართველო მნიშვნელოვნად მიიწევს წინ ნატოსკენ მიმავალ გზაზე. იტალიის თავდაცვის სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოსთან ორმხრივ ფორმატში. ყველა სახის თანამშრომლობიდან თუ ტრენინგებიდან ჩვენ ყოველთვის დადებით შეფასებას ვიღებთ საქართველოს მონაწილეობის შესახებ. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა საქართველოს მნიშვნელოვან კონტრიბუციას ავღანეთის მისიაში. ჩვენ მადლობა უნდა გადავუხადოთ საქართველოს საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში შეტანილი შთამბეჭდავი წვლილისთვის“,** — განაცხადა რობერტა პინოტიმ.

ციკლიდან „დროის იეროგლიფები“

ამჯერად ბაჩანა: რაზიკაშვილთა ბუდიდან

ალექსანდროვის ბაღში შემთხვევით რომ შეხვდებოდნენ ბაჩანა რაზიკაშვილი და გალაკტიონ ტაბიძე, ადვილად გაუგებდნენ ერთმანეთს და დიდხანს და გულწრფელად ისაუბრებდნენ

ის – ძალზე მოხუცი.

ეს – ძალზე ახალგაზრდა.

და გალაკტიონი ეტყოდა, რომ შედევრებად მიაჩნდა მისი **„მუხავ, მიყვარხარ ტიალო“** და **„კესანე“**.

რებეკა ვაშაძესთან გერმანიიდან გამოგზავნილ ბარათში კონსტანტინე გამსახურდიაც შედევრად მოიხსენიებდა მუხისადმი აღვლენილ დითირამბს.

როდესაც სუფრაზე ვაჟა-ფშაველას სთხოვდნენ ხოლმე, რომ წაეკითხა თავისი რომელიმე ლექსი, ის ამჯობინებდა თავისი ძმის სწორედ ეს ლექსი წაეკითხა: „მუხა“.

გადმოცემა ირწმუნებოდა, რომ თავის დროზე ილია ჭავჭავაძეც აღტაცებული დარჩენილიყო ამ შედევრით და სწორედ ამ ეპითეტით მოენათლა.

გავიდოდა ხანი და... როგორღაც მიიჩრდილებოდა ბაჩანას სახელიც, ისევე როგორც მისი ძმის თედოსი – ვაჟა-ფშაველა გადაფარავდა ორივეს, თუმც სიცოცხლეში ბაჩანას არანაკლებ – და იქნებ უკეთეს – პოეტადაც მიიჩნევდნენ, ვიდრე ვაჟას...

ისე ვაჟა-ფშაველას ფონზე გაფერმკრთალება რა სათქმელია – ვაჟა ბარე ორ პოეტს მოიტოვებდა უკან და ქართულ პოეტურ საგანძურში ერთ უპირველეს შემოქმედადაც წარმოდგებოდა, მსოფლიო არენაზეც მხოლოდ რჩეულთა შორის რომ უნდა დაიმკვიდროს ადგილი.

და აუცილებელია თედო რაზიკაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესაფერისი წარმოჩენა-დაფასებაც.

და აუცილებელია ბაჩანა რაზიკაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესაფერისი წარმოჩენა-დაფასებაც.

ჯერ ბაჩანას მიექცეოდა ყურადღება – საბაბი რომ გახდებოდა მისი დაბადებიდან 125 წლისთავის აღნიშვნა. და ითავებდა **წმინდა ანდრიას სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ამირან არაბული** ჩვეული თავგამოდებით რომ ჩაუდგებოდა სათავეში იმ დღის სამეცნიერო სესიის მომზადებას.

გახსნით გახსნიდა **სერგო ვარდოსანიძე,** ამ სანიმუშო უნივერსიტეტის რექტორი, რომელიც თავის სიტყვაში გამოიყენებდა მეტაფორას წყდიადში დანთებული სანთლისა, და მას გაუიგივებდა საპატრიარქოს უნივერსიტეტს, როგორც ერთ-ერთ კულტურულ-საგანმანათლებლო კერას დღევანდელ საქართველოში, სულიერების უწყვეტობას რომ ინარჩუნებს და მოწოდებულია წყდიადის შესანგრევად.

გაძღოლით გაუძღვებოდა **ლია კარიჭაშვილი,** ისიც საგანგებოდ რომ გამოჰკვეთდა ასეთ ღირსეულ და დაუფასებელ პიროვნებათა გახსენების აუცილებლობას, როგორც საზოგადოების ზნეობრივი მოწესრიგების ერთ ყველაზე ქმედით საშუალებას.

ამირან არაბული ბაჩანას ბიოგრაფიის უცნობ დეტალებს გააცნობდა დამსწრე საზოგადოებას: თუ როგორ გადასცემდა აღსასრულის წინახანებში, 1990 წლის ივლისში, ბაჩანას უმცროსი ვაჟი – გიგლა რაზიკაშვილი – მას და ეთერ თათარაიძეს თავისი უფროსი ძმების – პავლესა და ვანოს – მოგონებათა ფურცლებს, სადაც მათი მშობლების ტრაგიკული ცხოვრების ისეთი დეტალები მოიყრიდა თავს, თვითკმარი დოკუმენტური დატვირთვა და მნიშვნელობა რომ ენიჭება.

ესეც ის ზოგიერთი ყოფითი ამბავი, შთამბეჭდავი შტრიხებით რომ ავსებენ ბაჩანას როგორც მწერლურ, ასევე პირწმინდად ადამიანურ პორტრეტს:

აფხუშოში ცხოვრების თორმეტწლიანი ხანა;

ბაჩანა – მკურნალი: არჩენს ჭრილობებსა და გველის ნაკბენს (როგორც მოგონება იუწყებოდა: წამალიცა და ექიმიც ბაჩანა იყო);

როგორ გადაარჩენდა ბაჩანა კართანასთან (ადგილი მაღაროსკარის ზემოთ) არაგვში ჩავარდნილ კარატიელ წიწოშვილს;

როგორ იშვილებდა სალომე კაკაბლიშვილს, ობოლ ბავშვს სოფელ კუდოდან, აღზრდიდა და მღვდელ თევდორე უამიაშვილს მიათხოვებდა;

როგორ დაკრძალავდა ვაჟას პირველ მეუღლეს, კეკე ნებიერაძეს (ვაჟა ამ დროს ყვარელში იმყოფებოდა) და სამ დაობლებულ ძმისშვილს თავისთან წაიყვანდა მაღაროსკარში;

როგორ ისტუმრებდა ოჯახში სადარა არაბულსა და მამუკა გოგოჭურს (ბუჩუკურთელს) – საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელ მტრებს, სიმამაცით განთქმულ ორ ხევსურ ვაჟკაცს;

თუ როგორ დადგებოდა არაგვის ფშაველთა კომისრად. აგრეთვე თუშების თანხლება ჯარეგოში და კეთილმეგობრული ურთიერთობა ქისტებთან;

იარაღის მოვლა-პატრონობა – „გელიკაურის“ ხმალი და შამილის – დაღესტნის ლეგენდარული იმამის – ნაქონი ხანჯალი;

ბაჩანას მეუღლის, მარიამ გურასპაულის, პოეტური ნიჭი და ვაჟა-ფშაველა

და

ბაჩანას ორი საჯილდაო ქვა ვეჯინში – ერთს ხელს მოჰკიდებდა და გვერდს უცვლიდა, მეორეს კი შორი მანძილიდან ტყვიას მოარტყამდა.

ხოლო როგორ წარმოდგებოდა ბაჩანა და მისი ოჯახი გულქან რაზიკაშვილისა და სხვათა მოგონებებში?

ამის თაობაზე **ეთერ თათარაიძე** უამბობდა მსმენელებს: შვიდჯერ რომ ახსენებდა ბიძასა და ძალო-ბიძაშვილებს გულქანი გარდასული ჟამის ფურცლების აღდგენისას, და შვიდჯერვე დიდი სიყვარულითა და ტკივილით, მადლიერებითა და მონატრებით.

– ანაბანა რომ ვისწავლე, ფრიადოსანი გავხდი. ბიძაჩემი ბაჩანა მასწავლიდა ჩარგლის სკოლაში... ლექსი გვქონდა „დედა ენიდან“ ზეპირად სასწავლი. აბა, გულქანო, ლექსი მითხარო და... სათაური დამავიწყდა რადამა, პირდაპირ დავიწყე. ფანჯარასთან იდგა: რაო, რაოო?! – შამობრუნდა და თავში ჩამიკაკუნა, ბალღებმა სიცილი დამაყარეს. არ ვიცი, როგორ მიიღო ეს სიცილი ჩემმა გრძნობამა, გავაღე კარი, გამოვე კლასიდანა და იმ დღიდან მე სკოლაში აღარ მივლია... სანამ სწავლა შემეძლო, ის სიცილი ისევ ისე მომედინებოდა...

შინ მიაკითხავდა ბაჩანა და მამაც დაუწყებდა ხვეწნას, ვაჟა-ფშაველა: დაბრუნდი სკოლაშიო, – მაგრამ ეს: არა და არაო!.. ბაჩანა ისეთ ბაღდადს შეჰპირდებოდა, ზედ გუგულები რომ ისხდებოდნენ და „გუგუ-გუგუს“ დასძახებდნენ, ვაჟა ხომისძირით გარმონის მოტანას აღუთქვამდა, მაგრამ...

გოგონა ისე გაკერპდებოდა: თავი დამანებეთ, თორემ ჩარგლურაში რომ დიდი კლდეა, იმაზე შევდგები და წყალში გადავხტებიო...

– დაანებე თავი, ეს ხასიათით მე მგავ, ერთხელ თუ თქვა, ვერ გადაათქმევინებო, – ეტყოდა ძმას ვაჟა.

ბაჩანასთან რომ სტუმრობდა ობოლი: ქუქუნტი (შინაურობაში ასე ეძახდნენ) მოვიდაო, – ბიძაშვილები გამოიშლებოდნენ და შინ შეიყვანდნენ ჟრიამულით.

– ბიძის ცოლი მყვანდა, სულ და სამარე განათლებული ქალი – მარიამ გურასპაული, – ასე გაიხსენებდა გულქანი და ბევრს ილაპარაკებდა მის კეთილშობილებასა და

მუხა

მუხავ, მიყვარხარ, ტიალო,
გამარტოებით მდგომარე,
ერთი შენ გბოვე გულისა,
ქვეყანა შემოვიარე.
დაღონებული, მტირალი
მიწყივ შენკე ვარ მოარე,
მე მიყვარს შენი სიბერე,
მუდმივი დაღრეჯილობა,
დახაჯსებული ტოტები,
სიმტკიცე, ფოთოლთ შლილობა.
შენ არ გაშინებს, ვაჟკაცო,
ბუნების ფერის ცვლილობა.
რაც უნდა ქარი შხუოდეს
და ელვა იკლაკნებოდეს;
მთა-ბარი ირეგვნებოდეს,
ხილხული იხოშებოდეს;
ლერწამი მიწას ეკვროდეს,
მშველი ტყეს ინაბებოდეს;
ზარდაცემული ბწკალზედა
ვეფხვი კლდის ეხში ჰღმუოდეს, –
ამაყად ელი ავდარსა,
ქარს არ უყადრებ თავსაო,
ელვა და ჭექა-ქუხილი
ვერ შეგიხრიან წარბსაო.
არ იგლებ ბაიბუადა
ხალხის უღმერთოდ ჭრასაო,
საფლავიმც აუყვავდება,
ვინაც გგაუწყა მცნებაო:
„კაცი იშობვის ერთს დღესა
და ისევ ერთს დღეს კვდებაო“,
კარგი ჭაბუკი სიკვდილსა
არროს არ შეუდრკებაო.

1884 წ.

განუმეორებელი იქნებოდა მარიამის ხმით ნატირალი თავის გარდაცვლილ შვილზე, პატარა ივანეზე (მასონას რომ ეძახდნენ მოფერებით). და ეს ნატირალი, რომელიც მრავალმხრივ საგულისხმო ნიმუშია, კიდევ ერთი შენაძენი აღმოჩნდებოდა ამ ჟანრისათვის...

უფრო მეტი ლაპარაკი მარიამზე გამოუვიდოდა მომხსენებელს?

თუმც სამართლიანად უნდა აღნიშნულიყო, რომ მის გვერდით ჰქონდა აზრი ბაჩანას სიცოცხლესა და მოღვაწეობას, ეს უთბილესი ადამიანი უკურნავდა სულის ჭრილობებს იმჟამად გამორჩეულ პოეტს. მოხსენებას კი ამ სიტყვებით დააბოლოვებდა ეთერ თათარაიძე:

– დროა, თუ ძალიანაც არ დავაგვიანეთ, მივიხედოთ ძმები რაზიკაშვილებისაკენ, მიჩუმათებული მათი საქმენი მოვფინოთ სამზეოს... ისინი უბრალოდ ვაჟას ჩრდილმა დაფარა!..

ქეთევან შენგელია რამდენიმე შტრიხს გამოჰკვეთდა ბაჩანას ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან, თავიდან რამდენიმე ცნობას რომ წარმოადგენდა ეს პიროვნების წარმომავლობასა და მოწაფეობის ხანაზე, მერე – მის მასწავლებლობაზე. გაიხსენებდა მის ლამის სასიკვდილოდ დაჭრასა და კონფლიქტის გამო სკოლის მიტოვებას.

გორის საოსტატო სემინარიაში იგი უკვე იბეჭდებოდა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში, „დროება“ იქნებოდა, „ივერია“ თუ „თეატრი“. მის შემოქმედებას ყურადღებას მიაქცევდნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. არტურ ლაისტი გერმანულად თარგმნიდა მის რამდენიმე ლექსს და შეიტანდა კრებულში.

გაიხსენებდა გრიგოლ ყიფშიძისა და ივანე ქართველიშვილის აღმატებულ შეფასებებსაც, თუმც არ გაიზიარებდა გრიგოლის შეხედულებას, ბაჩანასა და ვაჟა-ფშაველას ერთმანეთს რომ აღრიდა პოეტური ძალმოსილებით.

შემდგომ თემატურად დაჰყოფდა ბაჩანას ლექსებს და ისე განიხილავდა, საგანგებოდ მაინც ამათ: „მუხა“ იქნებოდა, „ვინა ჰსთქვა საქართველოზე“, „ჭაბუკის ნატვრა“... საერთოდ კი გამოარჩევდა პატრიოტულ, ბუნების, ფილოსოფიურ და განყენებულ თემებზე შექმნილ ლექსებს, აგრეთვე კაი ყმობის, ვაჟკაცობის მოტივს, ხშირად რომ ხმიანებდა მის პოეტურ ნააზრევში.

გამოარჩევდა იმ ზოგიერთ ლექსსაც, თემისა და პრობლემის ორიგინალურობით რომ ხასიათდებოდა.

ცალკე დაუკვირდებოდა მიძღვნითი ყაიდის პოეტურ ნიმუშებს, იქნებოდა ეს საკუთარი გარდაცვლილი ქალიშვილებისადმი მიძღვნილი ლექსები თუ ვაჟა-ფშაველას აღსასრულისა ან რაფიელ ერისთავისა თუ აკაკი წერეთლის საიუბილეოდ შეთხზული.

აღინიშნებოდა, რომ ბაჩანას ლირიკაში გვხვდებოდა როგორც უსიუჟეტო, მარტოდენ განწყობილებაზე შექმნილი, ისე სიუჟეტიანი ლექსები, მომხსენებელი შეჩერ-

დეგოდა ამ საკითხზეც და გაჩანას პოეტური აზროვნებისათვის ნიშანდობლივ მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებზეც.

პოემათაგან უპირველესად განიხილავდა უსიუჟეტო ნიმუშს: „ლექსნი მსოფლიო მწუხარებაზე“, იმჟამად ერთ-ერთ გამონაკლისს, შემდგომ ამ ყაიდის ნიმუშებს ლირიკულ პოემებად თუ მოდერნისტულ ქმნილებებად რომ მიიჩნევდნენ და... XX საუკუნის 60-იანი წლების მონაპოვრად ფესვი თურმე სად ჰქონია ამ თავისებურ რკალს ჩვენი ეპიკური აზროვნების ისტორიაში... თუმც გალაკტიონ ტაბიძის სახელს რომ გამოტოვებდნენ ამ პოეტურ თავისებურებაზე მსჯელობისას, რაღა გაგვიკვირდეს, თუ გაჩანას არ წამოსწევდნენ!..

გამოარჩევდა კიდევ ორ პოემას – „თაღლაურა“ და „ნანაის სიმღერა“, ამოზრდილთ ჩვენი ზეპირსიტყვიერებიდან, „თაღლაურაში“ ბიბლიური მოტივებიც რომ იჩენდა თავს და, ჩვენს ლიტერატურაში არსებული ტრადიციის კვალობაზე, სიზმრის წინასწარმეტყველური მისიაც.

თაღლაურას დედის სიზმარში ნიაღვრის – ანუ წარღვნის – და კიდობნის ხატების შემოტანა მიგვანიშნებდა კაცობრიობის ბიბლიურ წარსულზე... ხოლო გმირს, „ვეფხისტყაოსნური“ სულისკვეთებით აღვსილს, სიკვდილი ერჩივნებოდა ნაძრახ სიცოცხლეს, და ამიტომაც შეერკინებოდა ცოლის დასახსნელად ქისტებს, მტერს გაუსწორდებოდა და თვითონაც დაიღუპებოდა.

მკვლევარი დაასკვნიდა, რომ ხალხური პოეზიის გავლენა საგრძნობი გახლდათ გაჩანას შემოქმედებაში, ყურადღებას მიაქცევდა სავრცობი ა-ს გამოჩენას, რითმათა პრინციპის მკაცრი დაცვის უგულებელყოფას... მაგრამ მთავარი მაინც იყო ის პოეტური სილაღე და გაქანება, რაც უაღრესი ლირიზმით მსჭვალავს მის ლექსებსაც და პოემებსაც.

მოხსენება თვალსაჩინოს გახდიდა, რაოდენ აუცილებელია კვლევის გაგრძელება გაჩანა რაზიკაშვილის პოეტურ თავისებურებათა და ღირსებათა სრულყოფილი წარმოჩენისათვის.

თქვენი მონა-მორჩილის გამოსვლაში წარმოისახებოდა ის ისტორიული ფონი, რომლის შუაგულშიც დატრიალდებოდა გაჩანასა და ვაჟა-ფშაველას პოეტური გაპაექრება მეტად და მეტად საჭირბოროტო თემაზე – სასწრაფო იყო თუ არა ეროვნული აჯანყება რუსული კაბალისაგან თავდასახსნელად.

გაჩანას სული უსწრებდა საამისოდ.

და ვაჟა კი, რომელიც უშუალოდ ამზადებდა ამბოხს და შეიარაღებული რაზმებიც გაეწყო აჯანყების დროშის აფრიალების მოლოდინში, უეცრად და ყველასათვის გამაოგნებლად გაემიჯნებოდა ამ შეხედულებას და მიიჩნევდა, რომ ნაადრევ ამბოხს შესაძლოა უარესი შედეგი მოჰყოლოდა, და რომ შეუძლებელი იყო რევოლუციურ-სოციალური განწყობილების გადაზრდა ეროვნულ აჯანყებაში.

დაფარული რჩებოდა ვაჟას ამ მოულოდნელი სულიერი ცვლილების ფსიქოლოგიური სათავე, ვიდრე არ მივაკვლევდით, რომ სათავე თურმე წიწამურის ტრაგედია ყოფილიყო – ილიას მკვლელობა დაბეჯითებით მიახვედრებდა ვაჟას, რომ ის პოლიტიკური მოვლენა – რევოლუციად სახელდებული – თუკი ასეთ დიდებულ პიროვნებებს იმეტებს, ვერაფრისდიდებით ვერ გამოიღებს სასიკეთო ნაყოფს და ეროვნულ ამბოხად ვერ გადაიზრდება.

მკითხველს ვაჟას სულიერი შემოტრიალებისა და ძმასთან პოეტური პაექრობის ნიუანსობრივი სურათის აღწერა შეუძლია იპოვნოს ჩემს მონოგრაფიაში „ქალდეას მონატრება“ და ბიოგრაფიულ რომანში ვაჟა-ფშაველაზე „დევების სტუმარი“... ამჯერად კი დაე ვიცოდეთ, რომ – როგორც **სერგო ვარდოსანიძე** განაცხადებდა – შემოდგომაზე საპატრიარქოს უნივერსიტეტში განზრახულია ლიტერატურული საღამო, რომელიც მიეძღვნება რაზიკაშვილების ოჯახს და რომლის მომზადებაშიც ჩვეული ენთუზიაზმით ჩაერთვება **ლელა რაზიკაშვილიც,** რომლის გამოსვლაც მოხდენილად შეჰკრავდა გაჩანასადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიასაც.

როსტომ ჩხეიძე

დილარ ივარდავა

ახალი რვეულიდან

ყველას რიგი აქვს

თითო-ოროლა დარჩენილა
ოკრო-ბოკროთი
მოსიარულე, მოქანავე ჩემი თაობის, –
გამინახევრდა ტელეფონთა
სია ბლოკნოტში,
დიდი ხანია ლუკმად ვქმნილვარ
მღვრიე ქაოსის!
ზოგი მივბმულვართ თოკს
გაქუცულ ამაოების
დღემდე მოთრეულს –
უსასტიკეს ნიშანს-ბრძოლების –
ბრუნავს, ტრიალებს, არ ისვენებს
ბორჯის საცერი,
შეუმჩნეველი, ულმობელი,
თან ალმაცერი!
მოვიკითხავ და...
არ ყოფილა №-ი ცოცხალი, –
მიქელ გაბრიელს კალენდარი
დააქვს მცოცავი...
სასაფლაოზე ხშირად მისულს
ვერ გამიგია
აწ მომავალში წამსვლელთაგან
ვისი რიგია?!
(ისე ხომ ყველა ჩვენთაგანი
დროის წიგნია!)
მარადიული ლეიბად რომ მიწა გვიგია!
ეგ არის მხოლოდ
ზოგს ადრე და ზოგს კიდევ გვიან –
უცილობელი, მიწიერი საუფლო გვქვია!

ისევ შენ გახსნი

ობობასავით გზას
გზა-გზა ვბლანდავ,
რომ სადმე დამრჩეს კვანძის საკრები,
მე მოვევლინე საწუთროს ლანდად
და, როგორც ლანდი ისე გავქრები.
თვინიერ დღეთა ჩრდილებს გავყურებ,
შეგუებული მწველ სიმარტოვეს
მთვარეს კი, როგორც ოქროს საყურეს
სახსოვრად ზეცის თაღზე დავტოვებ
ხომ შემიძლია წუთების ხსოვნის
ხსოვნა მოვქსოვო სხივების ძაფით,
მოგონებათა მყისიერ ქსოვილს
დანიშნულება თუ ექნა აფრის!
სულს შეძრავს განცდა უანკარესი –
ჩემი წარსულის გადამრჩენელი,
მე გამგზავრებულს გულცივ მხარეში
გზას გამინათებს შენი რჩევები!

რაც არ მართლდება

არა იმიტომ დავწერო ლექსი,
რომ მოვიხადო არსობის ვალი,
უჰ, გიხსენებ და ყურში ჩამესმის –
ამიჭახჭახდა სული და ძვალი!
არა იმიტომ მეხსიერებას,
რომ შერჩენილხარ, როგორც ჭრილობა,
ხშირად ფრთონავს და სულს ეფერება
გზა სიყმაწვილის
მკერდჭრელ ჭილოფად!
არა იმიტომ – ხშირად მეწვევი
სიზმრად და მერე აღარ მშორდები –
არამედ... იყავ ტრფობის მეწყერი
ჩემი მომსვრელი – ტანჯვა-გოდებით,
გახსოვს? არ გწამდა ჩემი ეწერი –
შემოგარსული ნისლის ბლონდებით!
... ცოცხალ ვართ მაინც უფლის
შეწევნით –
სიშორის ნაცვლად გიახლოვდები,
მარადიული ღამის ფერწერით,
ბარით, ნიჩბებით, ოქროს ზოდებით!

ვაცოცხლებ წიგნში

არა ვარ ჩიტიც
ზეციურ წრისთვის,
ვარ წუთისოფლის წამის წამედი,

ან ანთებული სანთლისებრ წვისთვის –
მოსული ქვეყნად უფრო არენდით!
ჩემი ეზო და სახლ-კარის წირთხლი,
თითქოს სიტყვაა ხვეწნა-მუდარის, –
დროის ნამსხვრევებს ვაცოცხლებ
წიგნში, –
წიგნია ჩემი ნავთსაყუდარი!

შამს სიცრუისას

ტრფობას, ნეონის შუქით ანთებულს,
სითბოს ნასახი არ გააჩნია, –
ღამის შავ ყდაში ალად გადებულს,
ტანზე ფერების გამმა გაჩრია!
ხელოვნურია იგი ნათება,
ცივზე-ცივია არსით და გარსით
და, რომ მატყუებს რას მემართლება,
ახლოს არა დგას დედანთან ასლი!
ასეა, ალბათ ჩვენი გრძნობებიც
სინამდვილეში თუ კი ყალბია;
მიტომ ამიხსნეს – თურმე მოგვების
გული, არისო მუდამ კარღია!
თუ კი სინაღდე შეცვალეს ყალბით –
მაშინ რა არის მართლაც ნატურა?!
ისე, ნერვების მოშლადაც არ ღირს
ვირმა თუ ყური გააპარტყუნა!
ზეობს ტყუილი?
მეფობს სიცრუე?
დედანთან ასლის მტკნარი ცილობა,
სიყალბის ზღვაში რად გსურს იცურო,
დაუდასტურე ვირებს ვირობა!

კავკასის ქედთან

კავკასის მთებთან ნებით დავები,
ეს ჩემი გზაა,
გზა – უკვდავების!
სრულყოფილება სუფევს ისეთი,
გადმოეღვარა ბაღებს ცის ზეთი!
ამის სადარი კიდევ სად არი,
ეგაა სწორედ მტერს რომ აგიჟებს
– უფალო, ქართლი მზესთან აზიდე!
ისედაც, ვინ არ გადაგვემტერა:
ბრძენი, რაინდი, შლეგი, ტერტერა!!!
ჩვენ არ გვყოლია ძმა, ნათესავი –
მაინც ვარისხებთ ზარს მნათესავით
მოშურნეთა და ქვებუდანთ ხროვა
ყველგან გვიყრუებს სიტყვებში ხმოვანს?
ერთი გახედეთ
რაში არ გვბაძავს,
თან გვედავება უამრავ ტაძარს!
უხსოვარ დღიდან ყანებს გვითელავს–
ხელჰყოფს ქართველთა წმინდა ღირსებას!
უმადურობა გვერგო, სახადად, –
ვისაც ჩავაცვით – იმან გაგვხადა!
შეეხო ივერთ სულიერებას
ყველა ველური ჯაგარწვერება!
ვერას ვუხერხებთ იმდენ უგონოს,
მაინც ვიბრძვით და...
არ ვართ უღონოდ!
ბრძოლა და ბრძოლა,
ისევე ბრძოლა!
ავისმდომელთა გვიხსნის ჩაქოლვა!
ეგაა ჩვენი ხსნა და იმედი,
გადარჩენის და აღმა დინების!
... კავკასის ქედთან ნებით დავებით
და მას დაერქვა გზა – უკვდავების!

ჯვარზენთან

მაისის დილა შვიდფრად ბრწყინდება,
სხივებში აქსოვს ჰანგებს საყვარელს,
ატმებზე ფუტკართ შეკოლკიდებას
ვჭვრეტ, ვითარცა უფლის ხელქმნილ
აკვარელს!
ეს ოხაჩქუე, ვით თეთრი თეფში
კავკასის თოვლში არის აჭრილი
და მანდვე ახლოს – კოლხეთის მთებში,
ბრილიანტდება ტობავარჩხილი.
მეხთა მჭედელი,
ელვის ერთგული –
ოჩოკოჩების ბრდღვინვით განთქმული,
ტინთა მლეწავი შლეგი ენგური
გვეხმიანება ჯვართან ნართულით!
სხივგაშლილ დილის ისმის კივილი –
თვით არამხუტუც ვერ შველის
მას დღეს –
ისე მძაფრია ჩანჩქერთ ტკივილი –
თურმე ტკივილიც აჩენსო ნათელს!
ისე აოტდა ირგვლივ ბუნება
ცრემლები წასკდა
ჩემს გასხლულ ვაზებს,
გავცქერი სიტყვაშეუბრუნებლად
ბავშვობის დროის ზღაპრადქმნილ
ჯვარზენს.

ასე, როდემდის?

თავთხელზე თევზის ციბრუტად ბრუნვა
რუხის ჩქერისკენ წასვლას მიბიძგებს,
მომძალებია ბავშვობის ურვა
და სიცხადეში ხსოვნას მიღვიძებს.
წიფლნარში ჩემი ბალღობა დარბის,
ის ოჩოპინტრეს ნაკვალევს ეძებს, –
მზის ნამი მაწვიმს ბრდღვიალა ძაბრით
და ძაბრით ვჩხიბავ ოქროდქმნილ ვერძებს,
ძილი ერევა ჩემს ქოფაკ ჯულბარს,
წუხანდელს აქეთ უწყვეტად ყეფდა,
ნისლი კრთის, როგორც ფაფუკი ბურდღა,
როცა მზემ სხივთა თმა გაიწეწა!
თენდება, მაგრამ ეს გათენება
აწი აროდეს განმეორდება,
დღეს ჩემს ეწერში კვლავ მეჩვენება –
ცხენთა ჭიხვინი ელვად გროვდება!
ვისმენ ბაბუას კოლხურ გოდებას –
ომმა ოჯახი გაუცამტვერა,
ჟამი დაფრთონავს ბაბუასწვერად
თეთრი ფთილებით სივრცე თოვლდება!
სძინავთ ხსოვნაში სიყრმის ქიმერებს
და ქიმერებში სევდიან ზღაპრებს, –
წლებს, ვით დახოცილ ფრთებგჭრილ
ფრინველებს
გულმწუხარებით როდემდე ავკრეფ!



შერშე ლა ფამ

საქართველო XVII საუკუნეში

ჩვენში ხშირად გულდაწყვეტით წერენ გენდერული თანასწორობის ნაკლებობაზე და ისტორიასაც იშველიებენ. მაგრამ სწორედ ისტორია სხვა რამეს ღაღადებს, XIII საუკუნეს რომ თავი დავანებოთ (თამარისა და რუსუდანის მეფობა), საკმარისია XVII საუკუნის დასავლეთი საქართველო გავიხსენოთ.

უკვე ვწერდით, რომ გიორგი სააკაძე თავის ცოლისძმასა და თანამებრძოლს, ქართლის უწარჩინებულეს ფეოდალს ზურაბ არაგვის ერისთავს, რათა ის სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობაზე დაეყოლიებინა, შეჰპირდა — ლელა ბატონიშვილს მოგგვრი თანამეცხედრედ სპარსეთში მძევლად დატოვებული ცოლის ნაცვლადო.

თეიმურაზ I

ქართლის მეფის ლუარსაბის და ლელა (სპარსულად ფათმა სულთან ბეგუმი) ირანის ძლევამოსილი შაჰის აბას I-ის ცოლი იყო, მაგრამ ლუარსაბის სპარსეთში მოკვლის შემდეგ შაჰი ლელას გაეყარა და ცოლყოფილი სარდალ ფეიქარ-ხანს მისცა ცოლად. მარტყოფის ომში(1625 წ.) გამარჯვების შემდეგ ზურაბი მარბიელი ჯარით დიდხანს მისდევდა ოტებულ ფეიქარ-ხანს, რომელსაც თან ცოლი მიჰყავდა, მაგრამ ვერ ჩაიგდო ხელში.

თუმცა ზურაბ ერისთავმა ბაგრატიონებთან დამოყვრების დიდი ხნის ოცნება მალე აისრულა და კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის ასული დარეჯანი შეირთო, მაგრამ ამ ქორწინებით დიდხანს არ დამტკბარა, — მასზე მინდობილი ქართლის მეფის სიმონ-ხანის ვერაგულად მოკვლის და მისი მოკვეთილი თავის თეიმურაზ მეფისთვის გაგზავნის შემდეგ, სიმამრმა თვით ზურაბი მოაკვლევინა და ამჯერად მისი თავი გაუგზავნა ირანის შაჰს. ზოგიერთი წყარო სიმონ-ხანის მკვლელობაში უშუალოდ თეიმურაზს ადანაშაულებს, მეტოქე სიმონს სიძე და ქალიშვილი მიუსიაო. თუ დარეჯანის მტარვალ ბუნებას გავითვალისწინებთ, ეს ვარაუდი (მკვლელობაში მონაწილეობა) სინამდვილიდან შორს არ უნდა იყოს.

სიძის მოკვდინების შემდეგ თეიმურაზმა ქვრივი ქალიშვილი იმერეთის მეფის ძეს ალექსანდრეს მიათხოვა (ალექსანდრემ თავის ცოლს — მამია გურიელის ასულ თამარს ღალატი დასწამა და გაუშვა). ასევე დაუმოყვრდა თეიმურაზი ირანის მბრძანებელს, შაჰ აბას I-ის შვილიშვილს შაჰ სეფის — თავისი ასული თინათინი მიათხოვა. შაჰმა სიმამრს სამადლობლად „ათასი თუმანი თეთრი და ათასი თუმნის ხალათი“ უბოძა, მაგრამ ერთი წლის თავზე ქორწინება ტრაგიკულად დამთავრდა — ქმარმა თინათინი დაახრჩობინა.

იმერელი უფლისწულის ალექსანდრე გიორგის ძის ოჯახური მყუდროება კახელი ბატონიშვილის შერთვის შემდეგ საბედისწეროდ დაირღვა. მოგეხსენებათ, მან პირველი მეუღლე თამარ გურიელი ღალატის ბრალდებით სიმამრს დაუბრუნა და უფლისწული ბაგრატიც თან გააყოლა.

1639 წელს ალექსანდრე ტახტზე ავიდა. იგი თავის მემკვიდრედ არ ცნობდა მრუშობაში დადანაშაულებული მეუღლისგან ნაშობ ვაჟს და ტახტის მემკვიდრედ დარეჯანის ძმისწული ლუარსაბი გამოაცხადა. მაგრამ ლუარსაბი მალე გარდაიცვალა და ალექსანდრე იძულებული გახდა არჩევანი ისევ თავის საკუთარ ძეზე შეეჩერებინა.

1660 წელს ქუთაისის ტახტზე მამისგან მოძულებელი, მეფობისთვის უმწიფარი, უნებისყოფო, ყველაფრის მიმართ გულგრილი და უმოქმედო ბაგრატ ალექსანდრეს ძე (ბაგრატ IV, 1660-1681 წ.წ. დროგამოშვებით) ავიდა. დედინაცვალმა, მტკიცე და მბრძანებლური ხასიათის დედოფალმა დარეჯანმა იგი გავლენის ქვეშ მოიქცია, თან ცოლად თავისი ძმის დავითის ასული (თეიმურაზ I-ის შვილიშვილი) ქეთევანი შერთო.

დარეჯანი — თეიმურაზ I-ის ასული და ზურაბ არაგვის ერისთავის (შემდეგ — იმერეთის დედოფალი) მეუღლე

გერი და დედინაცვალი მალე (6 თვეში) წაიჩხუბნენ, დარეჯანმა აჯობა: ბაგრატი ტახტიდან ჩამოაგდო და თვალები დასთხარა. უსინათლოს ცოლიც წაჰგვარა. ამ დროს (1661 წ.) კახეთის მეფე თეიმურაზი სკანდას იდგა და დარეჯანმაც მამას შესთავაზა იმერეთის ტახტის დაკავება, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ დარეჯანმა ქმარი „იშოვა“ — იმერეთის ბაგრატიონთა შორეული შტოს წარმომადგენელი ვინმე ვახტანგ ჭუჭუნიაშვილი შეირთო და ის გაამეფა. მაგრამ დასავლეთ საქართველოს ფეოდალებმა ვიგინდარა ჭუჭუნიაშვილი არ იგუეს. უსინათლო ბაგრატმა ახალციხის ფაშა, დადიან-გურიელი მიიმხრო და ქუთაისზე ილაშქრა. ვახტანგ ჭუჭუნიაშვილი შეიპყრეს, თვალები დასთხარეს და ახალციხის საფაშოში უკრეს თავი, ხოლო დარეჯანი და ქეთევანი დაატყვევეს (ქეთევანი შემდეგ, 1667 წელს, ცოლად შეირთო კახეთში დროებით გამეფებულმა არჩილ ვახტანგის ძემ, რათა კახეთის ტახტზე თავისი ლეგიტიმური უფლება განემტკიცებინა — ქეთევანი ხომ თეიმურაზ I კახთა მეფის შვილიშვილი იყო). ქალი იმხანად ახალციხეში იმყოფებოდა მძევლად. არჩილის მამამ, ქართლის მეფე ვახტანგ V-მ, ახალციხის ფაშას 20 ათასი მარჩილი გადაუხადა და ქეთევანი დაიხსნა.

ორი წელი გავიდა ბაგრატის დაბრუნებიდან და დარეჯანმა და მისმა ბრმა ქმარმა ვახტანგ ჭუჭუნიაშვილმა ახალციხიდან ოსმალთა ჯარი გადმოიყვანეს და ბაგრატი კვლავ დაამხეს. იგი ქართლში გაიქცა, ტახტი კი დარეჯანმა და ჭუჭუნიაშვილმა დაიჭირეს (1665 წ.), მაგრამ ერთი წლის შემდეგ შეთქმულებმა ეს მოუსვენარი ცოლ-ქმარი ამოხოცეს.

ბაგრატი 1681 წელს გარდაიცვალა და ტახტზე დაჯდა მისი უკანონო შვილი ალექსანდრე IV („კაცი შეუგვარი და უღირსი ბატონობისა... ცუნდრუკი, უღვთო ტყვის მსყიდველი“), მის შემდეგ — ასევე უკანონო ძე სიმონი.

იხ. 11 გვ.

საქმე №1/47-2016

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 27 ივნისი 2016 წელი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „სმარტ კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: ნაპო ხარებავა

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 8 ივნისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „სმარტ კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე ნაპო ხარებავას მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 24 ნოემბერს შპს „სმარტ კრედიტსა” და ნაპო ხარებავას შორის დაიდო №111401426 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „სმარტ კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 1150 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 84 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 24.05.2015წელი.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა - ვადაგადაცილებული გრაფიკით შემოსატანი თანხის 1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ნაპო ხარებავას ორჯერ გაეგზავნა, ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ცხოვრების გამო, ხოლო ოჯახის წევრმა მამამ უარი განაცხადა გზავნილის ჩაბარებაზე.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ნაპო ხარებავას მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ნაპო ხარებავა რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ნაპო ხარებავას (პირადი №62005000493) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „სმარტ კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. ნაპო ხარებავას განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო განხილვაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ნაპო ხარებავას ეცნობოს, რომ 2016 წლის 18 ივლისს 10:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „სმარტ კრედიტი”-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ნაპო ხარებავას მიმართ.

5. ნაპო ხარებავას ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/48-2016

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 27 ივნისი 2016 წელი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „სმარტ კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: გიორგი ფიფია

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 8 ივნისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „სმარტ კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე გიორგი ფიფიას მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 28 ივნისს შპს „სმარტ კრედიტსა” და გიორგი ფიფიას შორის დაიდო №061401292 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „სმარტ კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 1640 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 84 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 28.12.2014წელი.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა - ვადაგადაცილებული გრაფიკით შემოსატანი თანხის 1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე გიორგი ფიფიას სამჯერ გაეგზავნა, ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ცხოვრების გამო, ხოლო ნათესავმა უარი განაცხადა გზავნილის ჩაბარებაზე.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე გიორგი ფიფიას მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე გიორგი ფიფია რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე გიორგი ფიფიას (პირადი №51001000985) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „სმარტ კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. გიორგი ფიფიას განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო განხილვაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე გიორგი ფიფიას ეცნობოს, რომ 2016 წლის 18 ივლისს 10:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „სმარტ კრედიტი”-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით გიორგი ფიფიას მიმართ.

5. გიორგი ფიფიას ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/46-2016

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 27 ივნისი 2016 წელი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „სმარტ კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: ირაკლი გიგოლაშვილი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 8 ივნისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „სმარტ კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე ირაკლი გიგოლაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2012 წლის 14 მარტს შპს „სმარტ კრედიტსა” და ირაკლი გიგოლაშვილს შორის დაიდო №031210011 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „სმარტ კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 1000 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 84 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 14.06.2012წელი.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა - ვადაგადაცილებული გრაფიკით შემოსატანი თანხის 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ირაკლი გიგოლაშვილს ერთხელ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კურიერის რამოდენიმეჯერ მცდელობა ჩაებარებინა ადრესატისათვის შეტყობინება უშედეგო აღმოჩნდა. კორესპონდენცია მხარეს ვერ ჩაბარდა მოუძიებლობის გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ირაკლი გიგოლაშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ირაკლი გიგოლაშვილი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ მოიძებნა, ხოლო ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ირაკლი გიგოლაშვილს (პირადი №20001011338) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „სმარტ კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. ირაკლი გიგოლაშვილს განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო განხილვაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოაუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ირაკლი გიგოლაშვილს ეცნობოს, რომ 2016 წლის 18 ივლისს 11:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „სმარტ კრედიტი”-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ირაკლი გიგოლაშვილის მიმართ.

5. ირაკლი გიგოლაშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ ევრო – 2016

პირველი მერცხალი

როგორც კი მერვედფინალისტთა ვინაობა გაირკვა, პოლონეთ-პორტუგალიის წყვილი ყველაზე უფრო თუ არა, ერთ-ერთ უსუსტესად მოინათლა. როგორც მარსელის „ველოდრომზე“ განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, სკეპტიკოსები მართალნი ყოფილან.

პოლონეთი – პორტუგალია 1:1 (პენალტებით 3:5)

ასეთი უფერული სანახაობის შემდეგ, ალბათ, ბევრს კიდევ ერთხელ გაუჩნდებოდა კითხვა: დასკვნითი ტურნირის მონაწილეთა რაოდენობის გაზრდით უეფას ყოფილმა პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ ჩვენისთანა ქვეყნების გული კი მოიგო, მაგრამ მათთვის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსის გაზრდით თვითონ ფეხბურთმა მოიგო რამე?

პასუხი, ვფიქრობ, ერთმნიშვნელოვანია: ჯერ-ჯერობით არაფერი.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

ლაქა

გია ცეცაძემ იმდენად ღირსეულად წარმოაჩინა საკუთარი სამწვრთნელო ტალანტი ასაკობრივ და უმაღლესი ლიგის გუნდებში მუშაობისას, რომ ეროვნული ნაკრების ყოფილმა თავკაცმა კახა ცხადაძემ საკუთარ თანაშემწედაც კი მიიწვია.

პერსპექტიული სპეციალისტის დანიშვნამ ოპტიმიზმით აღავსო „სამტრედიის“ გულშემატკივრებიც, მაგრამ ევროპის ლიგის სასტარტო მატჩმა მათ იმედებს ცივი შხაპი გადაასხა.

„გაბალა“ – „სამტრედია“ 5:1 (პირველი ტაიმი 3:0)

როგორც გახსოვთ, აზერბაიჯანულმა კლუბმა შარშან თბილისის „დინამოც“ იმსხვერპლა, მაგრამ მოვლენათა ასეთ განვითარებას ამჯერად ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით: ჯერ ერთი, მას შემდეგ მასპინძელთა შემადგენლობა საფუძვლიანად გადახალისდა და, რაც მთავარია, მათი მეტოქე მშვენივრად გამოიყურებოდა წინასასეზონო სპარინგებში.

ერთადერთი დადებითი ნიუანსი, თუ შეიძლება ასე შეფასება, ისაა, რომ პარტნიორთა შორის გამორჩეული გახლდათ ქართველი ლეგიონერი ნიკა კვეკვესკირი, რომელმაც უკვე „ჯვაროსანთა“ მაისურის მორგებაც მოასწრო.

რაც შეეხება ორრაუნდიანი დუელის საბოლოო შედეგს, სამწუხაროდ, ჩვენს თანამემამულეთა უსუსური „თამაშის“ გამო მისი ბედი გადაწყვეტილია და საპასუხო შეხვედრას ფორმალური მნიშვნელობა თუღა ენიჭება.

ქვეყნის ვიცე-ჩემპიონთაგან განსხვავებით, გაგვახარეს გორის „დილამ“ და, განსაკუთრებით, საჩხერის „ჩიხურამ“, რომლებიც შემდეგ ეტაპზე გასვლის ჩინებულ შანსს ინარჩუნებენ:

„დილა“ – „შირაქი“ (სომხეთი) 1:0,
„ზიმბრუ“ (მოლდოვა) – „ჩიხურა“ 0:1.

გიორგი ზოთაძე

◎ ოლიმპიური ჩემპიონი

ოცნების გვირგვინი

1988 წლის 27 სექტემბერს 23 წელი შეუსრულდა.

განსხვავებული დაბადების დღე ჰქონდა: პაპანაქება სიცხეში 120 წუთი დაჰყო მწვანე მინდორზე და გამარჯვებულმა დატოვა სამხრეთ კორეის ქალაქ პუსანის „გუდეოკ სტედიუმის“ მოედანი. იმ დღეს საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები სეულის ოლიმპიადის ნახევარფინალში იტალიას ეთამაშებოდა. ძირითადი დრო 1:1 დამთავრდა. დამატებითში საბჭოელებმა 3:2 გაიმარჯვეს და ფინალში გავიდნენ. ამ წარმატებაში დიდი წვლილი თბილისის „დინამოს“ მცველმა გელა კეტაშვილმა შეიტანა.

– იმ დღეს რა დამავიწყებს, – იხსენებს 28 წლის წინანდელ ამბებს ოლიმპიური ჩემპიონი. – იტალიელებთან მატჩის დაწყებამდე სტადიონზე გამოაცხადეს, რომ დაბადების დღე მქონდა, რასაც ტრიბუნები ტაშით შეხვდნენ. მერე დაიწყო თამაში და დაბადების დღე ვიღას ახსოვდა. ის იყო, დამატებით დროში 3:1-ს ვიგებდით, რომ მეტოქის მორიგი იერიშისას იტალიელთა თავდამსხმელი რიციტელი დამისხლტა, დამზღვევი არავინ აღმოჩნდა და აპენინელი დიმიტრი ხარინთან პირისპირ გადიოდა. ამის დაშვება შეუძლებელი იყო, წამიც და ზურგიდან მეტოქისკენ გაშლილი ფეხით წავედი. რიციტელი მოედანზე დაენარცხა. ჩემკენ გამოქცეულმა სირიელმა მსაჯმა ალ შარიფმა ხელი ჯიბისკენ რომ წაიღო, უნებურად თავში გამიელვა – „გელა, შენთვის ოლიმპიადა დამთავრდა“. დამინდო არბიტრმა, ალბათ, დაბადების დღე რომ მქონდა იმიტომ – ყვითელი ბარათი მაკმარა. მატჩის შემდეგ სასტუმროში რომ მივედი, ერთი ქილა ხიზილალა და საბჭოთა ნაკრების მაისური ავიღე და რიციტელის ნომერში მივაკითხე მოსაბოდიშებლად. გაუხარდა ჩემი ძღვენი და მადლობა გადამიხადა, მე კი ოთახიდან გულდამძიმებული გამოვედი – როგორი საქმეა, კაცს ფეხი მოვტეხე...

ვინ ვინ და, გელა კეტაშვილმა კარგად იცის, რასაც ნიშნავს მძიმე ტრავმა. ოლიმპიადამდე ოთხი თვით ადრე თბილისში დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“ შეხვედრისას დაშავდა. ქართველმა ფეხბურთელმა წინასწარ გამოიგლოვა ოლიმპიური თამაშები. სხვებსაც არ სჯეროდათ, სეულში გამგზავრებას თუ შეძლებდა. მხოლოდ ოლიმპიური გუნდის ექიმი ზურაბ ორჯონიკიძე იყო დარწმუნებული, რომ საკავშირო ნაკრების მცველს ოლიმპიადამდე ფეხზე დააყენებდა.

კომპლექსურმა მკურნალობამ შედეგი გამოიღო: გელა კეტაშვილი იმ დელეგაციის შემადგენლობაში შეიყვანეს, რომელიც იაპონიაში გაემგზავრა საწვრთნელ შეკრებაზე. ხუთი საკონტროლო მატჩიდან მხოლოდ ორში მონაწილეობდა და ისიც ტკივილგამაყუჩებლების გამოყენებით. ყოველივეს მიუხედავად, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი ენდობოდა ქართველ ფეხბურთელს და იაპონიიდან კორეაში იახლა. პუსანში ჯგუფური ტურნირის პირველი პაექრობა მასპინძლებთან ფრედ დამთავრდა. მერე ტეგუში არგენტინელებს სძლიეს 2:1. ჯგუფის ბოლო მატჩი ამერიკელებს მოუგეს იოლად. მეოთხედფინალში ავსტრალიელები დაჯაბნეს – 3:0. მერე იყო იტალია. გელა კეტაშვილმა ხუთივე მატჩი შეუცვლელად ითამაშა. ფეხში საშინელ ტკივილს გრძნობდა, მაგრამ გუნდისთვის არ უღალატია.

აპენინელებთან პაექრობის შემდეგ ბიშოვეცმა საბჭოთა ფეხბურთელები კორეის დედაქალაქიდან 40 კილომეტრზე ინჩხონის პორტში მდგარ „მიხეილ შოლოხოვზე“ დააბინავა. გადამწყვეტი მატჩის წინა დღეს ბიჭებმა გელას უთხრეს, ბიშოვეცი გეძახის, მგონი, დაბადების დღის საჩუქარი უნდა გიძღვნასო. მორიდებით შეაღო კაიუტის კარი. მწვრთნელმა მაგიდასთან უხმო. ჯერ ფეხის ამბავი გამოჰკითხა, ხომ არ გაწუხებს, თამაშს ხომ შეძლებო. შეგირდისგან დადებითი პასუხი რომ მიიღო, მერე ბრაზილიის ნაკრები დაუხასიათა. „სამხრეთამერიკელებს ერთი ძლიერი თავდამსხმელი ჰყავთ – რომარიო. მიჩუქნია, აბა, შენ იცი, როგორ მოუვლი“, – დასძინა ბოლოს. ქართველ ფეხბურთელს ხმა არ ამოუღია, მწვრთნელს დაემშვიდობა და კაიუტიდან გამოვიდა. „მოვუვლი, აბა, რას ვიზამ“, – ფიქრობდა თავისთვის. ბიშოვეცმაც კარგად იცოდა, რომ გელა მის დავალებას მოკვდებოდა და მაინც შეასრულებდა.

სეულში ფინალური ორთაბრძოლა 1988 წლის პირველ ოქტომბერს გაიმართა. კეტაშვილი აჩრდილივით დასდევდა რომარიო დე სოუზა ფარიას – გასაქანს არ აძლევდა. პირველი ტაიმის 29-ე წუთზე სამხრეთამერიკელებმა კუთხურის ჩამოწოდების უფლება მოიპოვეს. მწვრთნელის დავალებისამებრ, ქართველი მცველი სერჟინიოს ამოუდგა გვერდით, რომარიო კი ამგვარ სიტუაციაში ლოსევს უნდა დაეჭირა, მაგრამ...

წამიერად მეურვისგან გათავისუფლებულმა რომარიომ ბურთი ხარინის კარში გაგზავნა და თავისი გუნდი დააწინაურა – 1:0. შესვენების შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელები გააქტიურდნენ. მე-60 წუთზე ალექსეი მიხაილიჩენკო ბრაზილიელებმა საკუთარ საჯარიმოში მოცელეს. იგორ დობროვოლსკიმ პენალტით წონასწორობა აღადგინა – 1:1. 90 წუთიც ასე დამთავრდა. დაინიშნა დამატებითი დრო. 103-ე წუთზე საკუთარი საჯარიმოდან კეტაშვილის დარტყმული ბურთი იური სავიჩევს მიუვიდა და ბრაზილიელთა მეკარესთან პირისპირ გასულმა შანსი ხელიდან არ გაუშვა – 2:1.

– გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა და სიხარულისგან შევხტი, – მეუბნება ბატონი გელა. – ვყვირი: ვაშა, ჩემპიონები ვართ! მივრბივარ თანაგუნდელებისკენ. ისინი კი გაკვირვებულები მიყურებენ. „რა გიხარია? – მეკითხება მიხაილიჩენკო. – წინ კიდევ თხუთმეტი წუთია სათამაშო“. თავზარი დამეცა. როგორ გინდა გაუძლო... გავუძელით კოშმარს და ოლიმპიური ჩემპიონები გავხდით...

თბილისის აეროპორტში იხილა ნამდვილი ზეიმი. დედაქალაქი ეგებებოდა სეულის ოლიმპიადის ქართველ გმირებს. თანაგუნდელებმა გელა კეტაშვილი ტრაპიდანვე ხელში აყვანილი წამოიყვანეს. უცნობი ადამიანები ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, ჩემპიონობას ულოცავდნენ. ის კი თვალებით ვიღაცას ეძებდა. დაინახა, ხალხის ტალღას მოშორებული მოკრძალებით იდგა თავისთვის და იცრემლებოდა. გელამ ბიჭებს სთხოვა, ძირს დამიშვითო. ძლივს გაიკვლია გზა და მიუახლოვდა თუ არა, გადაეხვია, მერე კისერზე ოქროს მედალი ჩამოჰკიდა: „მამა, ამ ჯილდოში შენი ლომის წილი დევს“, – უთხრა და თავადაც ცრემლით აევსო თვალები.

დიახ, მამა იყო მისი პირველი დამკვალიანებელი. ჯერ „ნორჩ დინამოელში“ თამაშობდა, 1981 წელს 16 წლისა ქუთაისის „ტორპედოში“ ჩაირიცხა, 1984-1989 წლებში თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში საკავშირო ჩემპიონატების 137 მატჩი ჩაატარა და ოთხი გოლი გაიტანა. სხვადასხვა დროს იყო ლანჩხუთის „გურიის“ და თბილისის „თეთრი არწივის“ წევრი. კარიერა 1995 წელს თბილისის „დინამოში“ დაასრულა. 14 წლისა საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებში მოხვდა და ევროპის პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა. მერე საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი გახლდათ, 1986-1988 წლებში ოლიმპიური ნაკრების ღირსებას იცავდა. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა 1989 წელს საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებში სამი მატჩი ითამაშა. 1990 წლის 27 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა თავის ისტორიაში პირველი საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარა ლიტვის გუნდთან, მატჩი დამთავრდა ფრედ – 2:2. გელა კეტაშვილი ჩვენი გუნდის პირველი კაპიტანი გახლდათ.

– თბილისის „დინამოში“ ვინ მიგიწვიათ?

– „ტორპედოში“ დებიუტი წარმატებული გამოდგა. სეზონის ბოლოს გუნდის საუკეთესო მოთამაშედ დამასახელეს. ყველაფერი ეს თბილისში შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ერთ საღამოს ქუთაისში „დინამოს“ მწვრთნელი სერგო კუტივაძე ჩამოვიდა და მასპინძლებს განუცხადა, კეტაშვილი მიგვყავსო. მაშინ ჩემთან „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი ანატოლი ნორაკიძე მოვიდა და მითხრა: „შვილო, თბილისის „დინამოში“ გიწვევენ. შენ ეს დაიმსახურე. ბედნიერ გზას და წარმატებებს გისურვებ“.

– მტკივნეული თუ არ იქნება, პირველი ეროვნული ჩემპიონატის სადებიუტო მატჩი მინდა მოგაგონოთ...

– ჩემს საფეხბურთო კარიერას, ფაქტობრივად, იმ შეხვედრამ დაუსვა წერტილი: 1990 წლის 30 მარტს თბილისის „დინამო“ ფოთის „კოლხეთს“ მასპინძლობდა. გადაჭედილი ტრიბუნები, პირდაპირი ტრანსლაცია ტელევიზიით. ზღვისპირელთა ერთ-ერთი შეტევისას ბურთი უხერხულად მოვიგერიე და საკუთარ კარში გავიტანე. ორთაბრძოლაც ასე დამთავრდა. მტერს არ ვუსურვებ იმას, რაც მე მაშინ განვიცადე. შემდეგ მწვრთნელებთანაც გაიბზარა ჩემი ურთიერთობა. იმ ავტოგოლმა კარიერა დამინგრია. 1995 წელს ცსკა-ში წავედი გასინჯვაზე. ექვსი კვირა ვივარჯიშე დუბლებთან, მაგრამ, რომ შევატყვე, არაფერი გამომივიდოდა, ჩემს თავს ვუთხარი, გელა, შენი მატარებელი წავიდა-მეთქი, ტარხანოვს დავემშვიდობე და თბილისში დავბრუნდი. საგზაო პოლიციაში რიგით ავტოინსპექტორად დავიწყე მუშაობა...

ორი წლის შემდეგ კაპიტნის ჩინით გელა კეტაშვილი მთავარ სამმართველოში ერთ-ერთი განყოფილების უფროსად გადაიყვანეს. „ვარდების რევოლუციის“ მერე ოლიმპიური ჩემპიონისთვის ეს ადგილი შეშურდათ, სამსახურიდან გაათავისუფლეს და მის სკამზე ერთ-ერთი დიდი ჩინოვნიკის ახლობელი დასვეს. ყველაფერ ამას დიდი სინანულით იხსენებს გელა კეტაშვილი, მაგრამ ყველაზე მეტად იმაზე წყდება გული, რომ საფეხბურთო კარიერას ზენიტში ყოფნისას გამოემშვიდობა. ალბათ, იტყვით, ოლიმპიურ ჩემპიონობაზე დიდი რაღა უნდა გაეკეთებინაო. მართალიც იქნებით: ოლიმპიური ჩემპიონობა ხომ ოცნებათა ოცნების გვირგვინია, მაგრამ სეულის გმირს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დღემდე უხრავს გულს.

გელა კეტაშვილი ხომ დიდი ფეხბურთიდან 25 წლისა წავიდა.

ვაჟა დანელია

◎ სულიერება

სულთმოფენობიდან მეორე კვირიაკე

ათონის წმიდა მთაზე გაბრწყინებულთა ხსენება

3 ივლისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მოიხსენიებს ათონის წმინდა მთაზე მოღვაწე ღმერთშემოსილ და ღირს მამებს.

...ცნობილია, რომ ათონის მთა მდებარეობს ქალკიდონის ნახევარკუნძულზე, კერძოდ — აღმოსავლეთ ნაწილში (სიგრძე 50 კმ. სიგანე 10 კმ.) ეს ადგილი მდიდარია მსხმოიარე ხილის ბაღებით, მცენარეულობით, წყაროებით და შესანიშნავი კლიმატით.

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთის მართლმადიდებლური სამყაროს ერთ-ერთი უწმინდესი, ადგილის ტერიტორიაზე, თუ როდის დაიწყო სამონასტრო ცხოვრება, ზუსტად ცნობილი არ არის, მაგრამ ნათელია, რომ უფრო გვიან, ვიდრე სირიაში, ეგვიპტეში.

ათონის ცენტრის კარეას მონასტრის დაარსებას მიაწერენ კონსტანტინე დიდს. ქართული წყაროს ჩვენებით **კარეას მონასტერში** მოღვაწეობდნენ ათანასე ჰერითერელი, იოვანე და ექვთიმე მთაწმინდელები, იოვანე — თორნიკე მთაწმინდელი...

ათანასე ათონელი, ექვთიმე მთაწმინდელი, თორნიკე ერისთავი, გიორგი მცირე, ევსტრატი დეკანოზი, ზოსიმე, კვირიკე დიაკონი და სხვა მწიგნობართა ჯგუფი მართლაც რომ



გაბრწყინდა ამ წმინდა ადგილზე — **ივერონის მონასტერში.**

რაც შეეხება ხილანდარის მონასტერს, სიმეონმა და მისმა შვილმა — საბამ იღვაწეს აქ!

წმიდა მთაზე მდებარე დიდი საშტატო მონასტრის მოღვაწენი იყვნენ ნიკიფორე ფოკა, საბა და გიორგი.

საგულისხმოა, რომ კახეთის მეფე ლეონს და მის ძეს — ალექსანდრეს ფილოთეოსის მონასტერი აღუდგენიათ, შეუმკიათ XIV საუკუნეში...

ათონის წმიდა მთის წმინდა პავლეს, დიონისიატის, წმინდა გრიგორის, სიმონ-პეტრეს, კარაკალუს, ზოგრაფის მონასტერში მრავალი მამები გაბრწყინდნენ.

გიული ლიპარტია

აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 89 წლის ასაკში გარდაიცვალა ჩაჩავას კლინიკის ელექტროფიზიოლოგიური განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მედეა

გრიგოლის ასული

დევდარიანი

პროფესორ მედეა დევდარიანს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ნაყოფისა და ახალშობილის ელექტროენცეფალოგრაფიის, როგორც მეცნიერების დარგის ჩამოყალიბებაში. აკად. კ. ჩაჩავასთან ერთად მან პირველმა შექმნა ნაყოფის ელექტროენცეფალოგრაფიის მეთოდი და შეისწავლა ნაყოფისა და ახალშობილის ელექტროენცეფალოგრაფიული პარამეტრები.

ქალბატონი მედეა იყო უაღრესად ერუდირებული, კეთილსინდისიერი ადამიანი, შესანიშნავი დედა, მეუღლე და მასწავლებელი. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და მოწაფეების გულში.

◎ ისტორიის ნამცვრევები

შერშე ლა ფამ

საქართველო XVII საუკუნეში

(მერვე გვერდიდან)

1702 წელს იმერეთს თავადი გიორგი აბაშიძე დაეპატრონა. შემდეგ იყო გიორგი VI, რომელიც 1703-1711, 1714-1716, 1719-1720 წლებში მეფობდა. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით იყო „უმგავსო ყოველითურთ და შეუგუანი მეფობისა, უზნეო, გამოუცდელი, თვინიერ გლეხთა მუშაკობისა და იყო ხეიბარიცა და მართავდა აბაშიძე გიორგი და თაობდა ყოველთა იმერთა ზედა, მორჩილებდნენ დადიანი, გურიელი და წარჩინებულნი“. ერთი სიტყვით იმერეთის ტახტი ხელიდან ხელში გადადიოდა, სანამ 1752 წელს არ გამეფდა ალექსანდრე V-ის უფროსი ვაჟი, დიდი სოლომონ I.

XVII საუკუნის I სახევარში დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები დინასტიური ქორწინებებით იყვნენ დაკავშირებულნი და ეს ერთხანს მყიფე მშვიდობას ინარჩუნებდა. იმერეთის უფლისწულს ალექსანდრეს ცოლად ჰყავდა გურიელის ასული თამარი, სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს — აფხაზეთის მთავრის სეტემან შარვაშიძის ასული თამუნია (თუ დარუნდია ან თანურია), მამია გურიელის ძე სიმონს — ლევან დადიანის და მარიამი...

მაგრამ ეს მოყვრობა და სიამტკბილობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

უფლისწულმა ალექსანდრემ ცოლს ქუთაისელი ვაჭრის საყვარლობა დასწამა და შვილთან ერთად სიმამრს დაუბრუნა, რაც იმას მოასწავებდა, რომ მამას ძის წარმომავლობა საეჭვოდ მიაჩნდა. გურიის მთავარმა ეს დიდად „იხუა“ და იმერთა მეფეს გადაემტერა.

სამეგრელოში უარესი ამბავი მოხდა. მთავარი ლევან II ეტრფოდა თავის ბიცოლას — ბიძის გიორგი ლიპარტიანის ახალგაზრდა მეუღლეს, თავად ჭილაძის ასულს დარეჯანს. იცოდა თუ არა ეს მთავრის ცოლმა, უცნობია, მაგრამ თამუნიას თავის მხრივ „რომანი“ გაუბამს მეუღლის ვეზირ წულუკიძესთან. ეს რომ ლევან დადიანმა გაიგო, საშინლად განრისხდა, ცოლს ცხვირი მოაჭრა და სიმამრისას წაიყვანა, თან აფხაზეთიც მოარბია, წულუკიძე კი ციხეში გამოკეტა.

ლევანს შარვაშიძის ქალისგან ორი ვაჟი ჰყავდა, მამამ შვილები მოაწამვლინა. როგორც არქანჯელო ლამბერტი გადმოგვცემს, ეს მან ცოლის- ნაბიცოლარი დარეჯან ჭილაძის ჩაგონებით გააკეთა, რომელსაც სურდა, რომ სამთავრო ტახტის მემკვიდრენი მისი შვილები ყოფილიყვნენ, რომლებიც ლევანისგან ეყოლებოდა მომავალში. პატრი ჯუდიჩე მილანელიც ამბობს, ბავშვებს საწამლავი დედინაცვალმა დაალევინაო.

ტრაგედია დატრიალდა გურიელის მთავრის კარზეც. სიმონმა მამია გურიელის ძემ (ლევან დადიანის სიძემ) საწოლში მძინარე მამა მოკლა. დადიანმა სიმონი სასტიკად დასაჯა — თვალები დასთხარა, ცოლი და შვილი წაართვა, მთავრად კი ქაიხოსრო გურიელი დასვა. სიმონის ნაცოლარი მარიამ დადიანი რამდენიმე წლის შემდეგ, ქართლის მეფეს როსტომს მიათხოვეს, ხოლო როსტომის სიკვდილის შემდეგ, ირანის შაჰის ბრძანებით მის მემკვიდრეს ქართლის ტახტზე — ვახტანგ V შაჰნავაზს, ანუ დედობილი — შვილობილს, არადა, ამ დროს ვახტანგს ცოლიც ჰყავდა (ყაფლან ბარათაშვილ-ორბელიშვილის ასული როდამი) და 8 შვილიც. მარიამი ღირსეული დედოფალი და მოღვაწე აღმოჩნდა: მუსლიმანი ქმრების ხელში აღადგენდა ეკლესიებს, იქმდა ქვეყნისთვის კეთილ საქმეთ.

ლევან II დადიანი

ლევან II დადიანის მეუღლე ნესტან-დარეჯან ჭილაძე

ვახტანგ V-მ გარდაცვლილი ლევან II-ის ნაცვლად დადიანად დასვა იმისი ძმისწული შამადავლე იოსების ძე, რომელმაც ბიძის პატივსაცემად ლევანი დაარქვა (ლევან III, 1661-1680 წ.) და ცოლად შერთო თავისი სილამაზით განთქმული ძმისშვილი თამარი. ეს ქალი შემდეგ დიდი ცილობის საგანი გახდა, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს შორის.

1663 წელს იმერეთის ტახტზე კვლავ უსინათლო ბაგრატ IV დასვეს (იმჯერად მან 7 წელი იმეფა). ხელმეორედ გამეფების წელსვე მას თავს დაესხა ლევან დადიანი, მაგრამ დამარცხდა და ტყვედ ჩაუვარდა ბაგრატს. უსინათლო მეფემ ამით ისარგებლა, „მოაყვანინა ცოლი თამარი, წარგვარა მას და შეირთო თვით“, ხოლო თავის ცოლს თათიას, თამარის დას გაეყარა. დამარცხებულ ლევანს მეფემ „წყალობა უყო“ და თავისი და, გოშაძის ნაცოლარი თინათინი შერთო.

ლევანი არ შერიგებია ცოლის დაკარგვას, ბევრი ეცადა მის დაბრუნებას. მალე ბაგრატსა და ლევანს ახალი მეტოქე გამოუჩნდათ გიორგი გურიელის (1664-1684 წ.წ.) სახით. „მესისხლე და ტყვის მსყიდველი, უწყალო იგი ეტრფოდა ცოლსა ბაგრატ მეფისა თამარს“ (ვახუშტი). ბაგრატმა, რათა თავიდან მოეცილებინა ჯიუტი მოტრფიალე და ტახტის მაძიებელი (გიორგი ცოლის წართმევის გარდა ტახტის წართმევასაც უპირებდა უსინათლო მეფეს), თავისი ქალიშვილი მიათხოვა მას.

1678 წელს იმერეთში ეს მერამდენედ კვლავ არჩილ ვახტანგის ძე გამეფდა. ბაგრატმა თავი გურიელს შეაფარა. დედოფალი თამარი კი, რომელიც სკანდის ციხეში იმყოფებოდა, არჩილმა დადიანს დაუბრუნა.

1679 წ. ბაგრატმა არჩილის გაძევება მოახერხა. იგი უმალ თავს დაესხა დადიანს, წაართვა თამარი და „მივიდა ქუთაისს გამარჯვებული“.

1681 წელს ბაგრატი გარდაიცვალა. იმერეთის ტახტზე დროებით გიორგი გურიელი დაჯდა. მან დრო იშოვა, „განუტევა ცოლი თავისი დარეჯანი, ასული ბაგრატ მეფისა და შეირთო სიდედრი თავისი დედოფალი თამარ ცოლად“.

„თამარიანი“ ალბათ კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, მალე ის ქალი რომ არ გარდაცვლილიყო (1683 წ.).

სწორედ XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოს არეულ-დარეულ ისტორიაზეა მისადაგებული ფრანგული ფრთიანი გამოთქმა „შერშე და ფამ“ — ეძებეთ ქალი, ამ ორომტრიალში დასაკვალიანებლად!

მოამზადა

ალეკო ასლანიშვილმა

მძახალი ნელი ჩიქავა-ნოდია, ზვიადი, ლია ოჯახებით, ენვერი, ლალი ჩიქავები იუწყებიან სიძის ზურაბ ხასიას დედის, უსათნოესი, დიდებული ქალბატონის

თამარ (ალექსანდრა) შენგელაია-ხასიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 3 VII, ქ. ზუგდიდი.

ნინო სურგულაძე „ოპერის ოსკაროსანია“

მეცო-სოპრანოს ნინო სურგულაძეს იტალიური საოპერო გამომცემლობის მიერ დაარსებული ოპერის ოსკარი გადაეცა. ნინო სურგულაძემ კონკურსში სახელწოდებით „GB ოსკარ ოპერისა და ბალეტის სრულყოფილება“ ნომინაციაში — საუკეთესო მეცო სოპრანო — გაიმარჯვა.

დაჯილდოების ცერემონია იტალიაში გაიმართა და მას საპატიო სტუმრები ესწრებოდნენ, მათ შორის იყო ლეგენდარული ბალერინა კარლა ფრაჩი. საღამო ცნობილ ესპანელ მსახიობსა და ტელევარსკვლავს მიჰყავდა.

„მიხარია ეს საოპერო ოსკარი, პირველი საოპერო ოსკარი ქართული საოპერო ვოკალური სკოლისთვის. მე მას ვუძღვნი თითოეულ ქართველს. და ჩემს უსაყვარლეს და დიდ პედაგოგს გულიკო კარიაულს და დედას, ნუნუკას. წარმატებები მსურს, ვუსურვო ყველა ჩვენს უნიჭიერეს ქართველს საქართველოში თუ საზღვარგარეთ!“, — აცხადებს სურგულაძე.

მოკლედ მთავარზე...

სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელობამ დაგმო ეთერში მოხვედრილი ხუმრობები ელისაბედ მეორის სექსუალური ცხოვრების შესახებ

სამხედრო-საჰაერო ძალების მმართველმა ორგანომ BBC Trust ije Don t Make Me Laugh-ის ეპიზოდი სარედაქციო პრინციპების დარღვევად მიიჩნია, რომელშიც კომიკოსები მონაწილეობენ. 21 აპრილის პროგრამაში განიხილებოდა თემა „დედოფალს ჰქონდა სექსი მინიმუმ ოთხჯერ“. კომიკოსმა კეინ რასელმა გაუშვა ხუმრობები ელისაბედ მეორის და მისი 95 წლის მეუღლის ინტიმურ ცხოვრებასთან დაკავშირებით.

გაერომ მოიწონა რუსეთის მიერ შემოთავაზებული რეზოლუცია „ადამიანის უფლებები და მოქალაქეობის იძულებითი ჩამორთმევა“



რუსეთის რეზოლუცია არაა მიძღვნილი რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოსადმი, მაგრამ ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მოსკოვის ყურადღება მიმართულია მოქალაქეობასთან დაკავშირებულ სიტუაციაზე ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, სადაც ათასობით ეგრეთ წოდებული მოქალაქე ცხოვრობს, რომლებსაც არ მიუღიათ მოქალაქეობა სსრ კავშირის დაშლის შემდეგ.

საბჭო რუსეთი-ნატო შეიძლება მოწვეულ იქნეს „უახლოეს მომავალში“, განაცხადა ალიანსის გენერალურმა მდივანმა

„ამჟამად ჩვენ ვაწარმოებთ კონსულტაციას რუსეთთან სხდომის შესაძლო თარიღებთან და დღის წესრიგთან დაკავშირებით“, — განაცხადა იენს სტოლტენბერგმა. მისი აზრით, ჯერჯერობით არ არის პირობები პარტნიორული ურთიერთობებისთვის ნატოსა და რუსეთის ფედერაციას შორის, „რომლებიც დაფუძნებულია საერთაშორისო სამართლის პატივისცემაზე“, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია რუსეთზე. მან ასევე განცხადა, რომ ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა არ არის მიმართული რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაიგეს სტამბოლში ტერორისტული აქტის ორგანიზატორის სახელი: ის არის ჩეჩენი ახმედ ჩატაევი

ჩეჩნეთიდან ან დაღესტნიდან წამოსული იყო ასევე ერთ-ერთი თვითმკვლელი, რომელმაც თავი აიფეთქა თურქეთის უდიდესი აეროპორტის საერთაშორისო ტერმინალში. მას ერქვა ოსმან ვადინოვი. ორივეს ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირში ადანაშაულებენ. ჩატაევი ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში თავს არიდებდა მისი რუსეთისთვის გადაცემას ავსტრიაში მიღებული ლტოლვილის სტატუსის წყალობით.

117 წლის მექსიკელი ქალბატონი გარდაიცვალა, როდესაც მიიღო მოწმობა დაბადების შესახებ

ტრინიდად ალვარეს ლირა დაიბადა 1898 წლის 9 ივლისს. მშობლებთან ერთად ის ჩავიდა მექსიკაში 2 წლის ასაკში. ქალბატონი არასოდეს გათხოვილა, თავი მიუძღვნა თავისი ნათლიის შვიდი ბავშვის აღზრდას. მექსიკელი არ ღებულობდა სახელმწიფო დახმარებას მოხუცებულობის გამო, ვინაიდან მას არ ჰქონდა თავისი ასაკის არანაირი დამადასტურებელი მოწმობა.

ცნობილი მეცნიერი ქალბატონის „საყურადღებო“ შენიშვნები სასმელთან დაკავშირებით

ამ ცოტა ხნის წინათ 104 წლის ასაკისა გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი-ბიოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი რიტა ლევი-მონტალჩინი.

გთავაზობთ მის სახუმარო მოსაზრებებს სასმელთან დაკავშირებით:

კვების პროდუქტების გადამუშავების გაუმჯობესებისთვის ვსვამ ლუდს...

უმადობისას ვსვამ თეთრ ღვინოს, დაბალი წნევის დროს — წითელს, მაღალი წნევისას — კონიაკს, ანგინის დროს კი — არაყს.

წყალს როდისღა?

ასეთი ავადმყოფობა ჯერ არა მქონია.

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
293-37-87, 599 797679

საგოლე მომენტი



ცინცხალი ანეკდოტები

თებრო და მარო ჭორაობენ.

— მარო, ჩვენი მეზობელი მიტუა კაბის ქვეშ შემიყოფს ხოლმე ხელს და რაღაცას ფათურობს.

— იი, ფრთხილად იყავი, ქაა. ფულს ჩულქის ყელში ნუ შეინახავ.

* * *

შუაღამისას ცოლი ქმარს აღვიძებს და ეკითხება:

— ძილში რატომ ყვიროდი?

— გრეტა დამესიზმრა...

— გრეტა? ვინ არის გრეტა??

— შენ არ იცნობ, სიზმარში გავიცანი.

* * *

ეკლესიაში საკვირაო წირვა მიმდინარეობს. უცბად მიწა გასკდა და სატანა გამოჩნდა, უზარმაზარი, ბანჯგვლიანი, რქოსანი. ყველა შიშისგან აკანკალდა და გაიქცა, მხოლოდ ერთი ბაბუა დგას გულმაგრად.

სატანა პირდაპირ მას მიადგა და ეკითხება:

— იცი, ვინა ვარ?

— რა თქმა უნდა.

— მერე, არ გეშინია?

— არა, ორმოცდაათი წელია, თქვენი და მყავს ცოლად.

* * *

სასამართლოში:

— თქვენ ამტკიცებთ, რომა, როდესაც საქმე ჩხუბამდე მივიდა, თქვენს მოწინააღმდეგეს ხელში ჯოხი ეჭირა, თქვენ რაღა გეჭირათ ხელში?

— მისი ცოლი.

* * *

თუ ცოლი გსაყვედურობთ თქვენი გამუდმებული ლოთობის გამო, შეახსენეთ, რომ ქურქი ჩაბარებული ბოთლებით უყიდეთ.

ვალერიან მამუკელაშვილის ნაკრებიდან

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.370; ევრო - 2.628;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.159;
100 რუბლი - 3.665; თურქული ლირა - 0.814;
აზერბაიჯანული მანათი - 1.514;
1000 სომხური დრამი - 5.975

ამინდი 2 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +15,	დღე +33
მთიანი რაიონები -	ღამე +10,	დღე +27
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +17,	დღე +33
მთიანი რაიონები -	ღამე +13,	დღე +31
თბილისი:	ღამე +18,	დღე +31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE